

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

XXXI

რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის

მ ა ს ა ლ ე ბ ი

2011 წლის 11-12 ნოემბერი
თელავი

ედვენება ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა ს
დაბადებიდან 150 წლისთავს

თბილისი
2011

მ უ შ ა ო ბ ი ს გ ე გ მ ა

11 ნომბერი, 11 საათი

ს ს ღ ო მ ი ს გ ა ხ ს ნ ა
მ ი ს ა ლ მ ე ბ ა ნ ი

I ს ს ღ ო მ ა

სსღომის თავმჯდომარეები: **რ. ჭიკაძე, გ. გოგოლაშვილი,**

1. გ. გოგოლაშვილი, ვაჟა-ფშაველას ენობრივი სამყარო
2. ა. არაბული, ვაჟას პოეტური ენის მასაზრდობელი წყაროები
3. მ. ფაღავა, ნ. მგელაძე, ხინოს ხეობის ტოპონიმია
4. ვ. შენგელია, სუფიქსისეული ხმოვნის ფუძისეულ ხმოვანზე ასიმილაციური გავლენის შესახებ მეგრულში
5. ნ. ოთინაშვილი, ეტიმოლოგიური შენიშვნები ფრონეს ხეობიდან
6. ნ. ფართენაძე, ქვემდებარის ერგატიული კონსტრუქცია სამხრულ მეტყველებაში
7. მ. კობერიძე, ნასახელარ ზმნათა წარმოებისათვის ფრონეს ხეობის ქართლურში
8. მ. კიკვაძე, მყოფადის გამოხატვის საშუალებანი შავშურში
9. ნ. შავრეშიანი, დალოცვისა და წყევლა-მუქარის გამომხატველი შერწყმული წინადადებები სვანურში
10. ლ. გიგლემიანი, მ. საღლიანი, ზემო სვანეთიდან XX საუკუნის 50-იან წლებში სამეგრელოში ჩასახლებულ სვანთა მეტყველებისათვის
11. მ. მადუაშვილი, სახელთა ორმაგი მრავლობითის ფორმები თუშურში
12. დ. ანფიმიადი, ფონოსემანტიკური ოპოზიცია, როგორც ნიშნის გენდერული მარკერი, ქართულ გარემოში გავრცელებულ საკუთარ სახელთა მიხედვით

II სსდომა

11 ნომბერი, 15 საათი

სსდომის თავმჯდომარეები: **ა. არაბული, მ. მიქელაძე**

1. რ. ჭიკაძე, ენობრივი მეხსიერება დიალექტისა (შიგნიკასური)
2. ი. ჩანტლაძე, პირველადი და მეორეული წარმომავლობის გნმოვანი ქართველურ ენათა დიალექტებში
3. ნ. არდოტელი, მრალვობითობისა და კრებითობის ურთიერთმმართვებისათვის ხევსურულ კილოში
4. ნ. ცეცხლაძე, კალკური და ნახევრადკალკური ფრაზეოლოგიზმები ჩვენებურთა მეტყველებაში
5. ნ. ჭოხონელიძე, გარეკახური ფონეტიკურ-მორფოლოგიური დიალექტიზმები რ. ინანიშვილის პროზაში
6. ნ. გიორგაძე, მწერალი და დიალექტი
7. ე. შენგელია, სიტყვაწარმოება მეგრულ-ლაზურში სამოსელთან დაკავშირებული ლექსიკის მიხედვით
8. მ. ბუკია, რიცხვით სახელთა წარმოებისათვის მეგრულ-ლაზურში
9. მ. ჩაჩანიძე, ლექსიკური მოტივაციის აქტუალიზებულ მიმართებათა თაობაზე ქეგლის ახალ რედაქციაში
10. ნ. ფონიავა, გულთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები და იდიომატური გამოთქმები მეგრულ-ლაზურში
11. მ. თეთრაძე, სოფელ პატარძელის მიკროტოპონიმია (სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზისთვის)

III სსდომა

12 ნომბერი, 11 საათი

სსდომის თავმჯდომარეები: **მ. ფაღავა, ვ. შენგელია**

1. მ. მიქელაძე, ენის ისტორიული მეხსიერება (წოვათუშურ ენაში დაცული ხევსურული ლექსიკის მიხედვით)
2. მ. ჩუხუა, ქართველურ-ბასკური ბგერათმესატყვისობისათვის (ს.-ქართვ. ხ : ს.-ბასკ. ჰ)
3. მ. მიქაძე, იმერიზმთა ადგილისათვის რეზო მიშველადის შემოქმედებაში
4. თ. ლომთაძე, ანთროპონიმთა ბრუნებისათვის ქვემოიმერულში
5. მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, ზმნის ზოგი თავისებურება კლარჯულში
6. მ. ცისკარიშვილი, ლექსიკური შეხვედრები ხევსურულსა და წოვათუშურში
7. ლ. თანდილავა, თურქული ელემენტები კლარჯულში
8. მ. ხახუტაიშვილი, თანდებულთა ხმარების ზოგი თავისებურება მუჰაჯირთა მეტყველების მიხედვით
9. თ. ბურჭულაძე, შემასმენელისა და ქვემდებარის რიცხვში შეუთანხმებლობის ზოგი საკითხი ქართლურში
10. ხ. ყანდაშვილი, მრავალგზისობის გამოხატვა აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებში
11. თ. დემეტრაშვილი, ნ. გოგიჩაიშვილი, სოფელ ტყვიავის ონომასტიკური მასალები

დიანა ანფიადი

(თბილისი. ი. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ფონოსემანტიკური ოპოზიცია, როგორც ნიშნის გენდერული მარკერი, ქართულ გარემოში გავრცელებულ საკუთარ სახელთა მიხედვით

ფონოსემანტიკის, როგორც ენათმეცნიერების დარგის განვითარებაში ენის კვლევის ახალ პერსპექტივას მისცა საფუძველი.

ენობრივ ნიშანთა მოტივირებულობის იდეა აადვილებს სემანტიკურ ინტერპრეტაციას და ადამიანის მეტყველების ინტერდისციპლინურ ჭრილში განხილვის ახალ საშუალებებს იძლევა.

ბგერათა შინაარსზე დაკვირვებამ დიდი და საინტერესო გზა განვლო პლატონიდან იაკობსონამდე, მრავალი საინტერესო იდეითა და თეორიით გამდიდრდა. საინტერესო კვლევები გრძელდება დღესაც, რაც ენის, როგორც ენერჯიის სხვადასხვა განზომილებებს აღმოგვაჩენინებს.

ჩვენ დავაკვირდით იმ საკუთარ სახელებს, რომელთა გამოყენებაც ხდება ქართულ სოციალურ არეალში, იმისათვის, რომ გამოგვეკვლია, აქვს თუ არა რაიმე მნიშვნელობა რომელიმე ტიპის ფონემათა პრიმატს ორივე სქესის აღმნიშვნელ საკუთარ სახელებში.

განსხვავდება თუ არა ორი სქესის ანთროპონიმები სხვადასხვა ფონემათა გამოყენების სიხშირით, რა უდევს საფუძვლად ამ განსხვავებას, რა სემანტიკური თუ ფსიქოლოგიური ახსნა შეიძლება მოეძებნოს და ა.შ.

არსებობს თუ არა ისეთი ფონემები, რომლებიც აკრძალულია მამრობითი სქესის ანთროპონიმებისათვის, ან პირიქით.

არის თუ არა საფუძვლიანი სისტემური განსხვავებანი სხვადასხვა ენიდან ნასესხებ ანთროპონიმებსა და საკუთრივ ქართულ ანთროპონიმებს შორის.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია მათი ფონემური და ფონოსემანტიკური, როგორც სინტაგმატური, აგრეთვე პარადიგმატული ანალიზი.

გამოვიტანეთ გარკვეული სახის დასკვნები.

აღმოჩნდა, რომ რიგ შემთხვევებში ფონემათა რიგის სხვადასხვა ტიპის ოპოზიციები გენდერულ ოპოზიციათა მაჩვენებლებად გვევლინებიან. ეს ოპოზიციები ერთგვარ გენდერულ სემიოტიკურ მარკერებს წარმოადგენენ.

განვიხილავთ ამ ოპოზოციას კონკრეტულ მნიშვნელობებსა და ფუნქციებს, ურთიერთმიმართებებსა და ურთიერთკავშირებს.

კვლევის შედეგები წარმოდგენილია მოხსენებაში, სისტემურ ფონოსემანტიკურ ანალიზთან და გრაფიკული სახის პროცენტულ თვალსაჩინოებასთან ერთად.

ავთანდილ არაბული

(თბილისი. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

ვაჟას პოეტური ენის მასაზრდოებელი წყაროები

ცნობილია, რომ ვაჟა-ფშაველა თავისი მოღვაწეობის ყველაზე აქტიურ პერიოდში საკმაოდ წამგებიან — „თავის მართლების“ — პოზიციებში აღმოჩნდა ქართული სამწერლობო ენის („სალიტერატურო ენის“ ნორმატიული ცნება ჯერ კიდევ არ არსებობდა) სიწმინდის დაცვასთან დაკავშირებით და, მიუხედავად პოეტის მცდელობისა, ვერც იმას ვიტყვით, რომ მისმა თანამედროვე საზოგადოებამ შესაფერისად გაიგო შემოქმედის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, პირიქით, მისი კომენტარები სწორედ „ფშაურობის“ დასტურად იქნა მიჩნეული.

ვაჟა-ფშაველამ სხვადასხვა ფორმით რამდენჯერმე სცადა ჩამოეყალიბებინა საკუთარი პოზიცია ახალი ქართული სამწერლობო ენისა და მისი მასაზრდოებელი ცოცხალი ხალხური მეტყველების შესახებ. მაგრამ ამ თვალსაზრისით საკვანძო მნიშვნელობისად უნდა მივიჩნიოთ მისი ჩინებული წერილი, „Prodomo sua“; კერძოდ, ის მონაკვეთი, რომელშიც პოეტი საკუთარ შემოქმედებაზე რაფიელ ერისთავის შესაძლო გავლენაზე ლაპარაკობს:

„რა თქმა უნდა, თ. რაფიელის ლექსებმა, როგორც საერო კილოთი ნაწერმა და ისიც ჩვენებურ მთის კილოთი, სხვანაირად ააჩქროლა ჩემი გული, სხვაგვარად შესძრა იგი. ამასთანავე ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ, თუმც მამინ შეგირდი გახლდით, მაგრამ ხალხური, ფშაური, ხევსურული ლექსები ბევრი ვიცოდი; ეს კილო მიყვარდა, ჩემს გულში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა; თუმც მამინაც ლექსებს ვწერდი, ანუ, უკეთ რომ ვსთქვამთ, ვბლაჯინდი, მაგრამ

ამ საერთო კილოზე წერას ვერა ვბედავდი, რადგან მწერლობაში ლექსების წერის კილოდ არ იყო მიღებული, არამედ სხვა კილო მეფობდა. ჯერ დღესაც სჭირს ამ ფშაურს კილოზე ნაწერის ლექსების საზოგადოებისაგან ყურის დაგდება და მამინ ხომ უფრო საძნელო იქნებოდა. ჩვენმა სახელოვანმა მხცოვანმა მგოსანმა რაკი საერო კილო დაუმკვიდრა ლექსებს და ჟურნალ „ივერიამ“ გზა დაუთმო, მეც გაბედულება მომემატა...“

რისი ამოკითხვა შეიძლება ამ მცირე მონაკვეთში?

1. პოეტი აღიარებს რაფიელ ერისთავის გადამწყვეტ გავლენას მისი პოეტური ენის არჩევაზე; სწორედ რაფიელ ერისთავის ხალხური პოეზიით ნასაზრდოებ ლექსებს მიუნიჭებია ვაჟასთვის გამბედაობა, მშობლიური პოეტური „ხმებისთვის“ მიეცა გასაქანი, არ დაებრკოლებინა ბუნებრივი, ფესვეული პოეტური იმპულსები...

2. რაფიელ ერისთავის მიერ „ხელდასმული“ „საერო კილო“, რა თქმა უნდა, რომელიმე კერძო დიალექტის გავებით არ არის გამოყენებული.

3. არც ვაჟას მიერ საკუთარ წყაროსთვალად აღიარებული „ხალხური (საერო) კილო“ ჩანს რომელიმე კონკრეტული დიალექტის შინაარსის შემცველი.

მართალია, პოეტი ამ კონტექსტში უშუალოდაც მოიხსენიებს „ფშაურს“, მაგრამ „ხევსურულის“ გვერდით, ხალხურის საერთო კონტექსტში; დააკვირდით: „...მაგრამ **ხალხური**, ფშაური, ხევსურული ლექსები ბევრი ვიცოდი; ეს **კილო** მიყვარდა, ჩემს გულში განსაკუთრებული კუთხე ეჭირა...“ აშკარაა, რომ „კილო“ ამ კონტექსტში „ხალხურს“ მიემართება და არა რომელიმე კონკრეტულ კილოს (დიალექტს). საზოგადოდ, ტერმინები „კილო“, „საერო კილო“, „ხალხური კილო“ ვაჟასთან აშკარად პოეტურ ენას, ხალხური პოეზიის თავისებურებას აღნიშნავს და მასში თანამედროვე დიალექტოლოგიური შინაარსის ჩადება უმართებულო იქნებოდა. თვით ამ შემთხვევაშიც კი, როდესაც ვაჟა უშუალოდ ახსენებს ფშაურს, ამ ცნებაში, სულ მცირე, „ფხვოვური“ შინაარსი მაინც უნდა ამოვიკითხოთ.

ნიშანდობლივია, რომ პოეტი საკუთარ შემოქმედებას შესაფერისი ფორმის, ანუ ორგანული პოეტური ძირების, პოვნამდე უფრო „ბლაჯინად“ აფასებს...

ვფიქრობთ, ვაჟას ამ წერილში პირდაპირი მინიშნებაა პოეტური თვალსაზრისით უაღრესად ანგარიშგასაწევ საზოგადო მოვლენაზე, კერძოდ, მნიშვნელოვანი საფუძველი გვაქვს ვაჟას მითითებულ ტერ-

მინებში პოეტური კოინეს გაგება დავინახოთ; სახელდობრ ამ წერილთაგ ვაჟა მისანიშნებს საკუთარი შემოქმედების ხალხურ პოეტურ ძირებზე და ხალხური პოეზიის ენა კი აღნიშნულ პოეტურ კოინეს გულისხმობს.

ვაჟა-ფშაველას პოეზიის ხალხური ძირები შეუიარაღებელი თვალითაც ადვილად აღიქმება, ხოლო ამ ორი ფენომენის უშუალო ფაქტობრივი შედარება უფრო ხელშესახებს ხდის ამ კავშირს; კერძოდ, ამის დასტურად უნდა მივიჩნიოთ:

ა) სალექსო ფორმა: ხალხური მ-მარცვლიანი დამუხვლა, ტრადიციული მაღალი შაირის მუხლედებით;

ბ) სარიტმო ერთეულთა რეგულარობა და გაფორმება;

გ) მზა ხალხური პოეტური ფორმულები;

დ) პოეტური კოინესათვის დამახასიათებელი ენობრივი ერთეულები და შესიტყვებები (ფრაზეოლოგიზმები).

ამ არქექტიპული მოვლენის — პოეტური კოინეს — ასეთი სიღრმული გამოვლენა ვაჟას პოეზიაში ამ ფენომენს განსაკუთრებულ ღირებულებას სძენს.

ნოდარ არდოტელი

(თბილისი. არნ. ჩიქოვას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

მრალვობითობისა და კრებითობის ურთიერთმიმართებისათვის ხევსურულ კილოში

1. ხევსურულ დიალექტში მრალვობითი რიცხვის წარმოების თაობაზე მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა: ერთნი ხევსურულში ორობით რიცხვს გამოყოფენ (აკ. შანიძე, გ. როგავა და თ. მეტრეველი), სხვანი მას უგულებელყოფენ (ალ. ჭინჭარაელი, დ. ჩხუბიანიშვილი). გარდა ამისა, ზოგ სპიეცილისტს ნარ-თანიანი მრალვობითის წარმოების ცხალკეულ საკითხებზე მეტ-ნაკლებად განსხვავებული მოსაზრებები აქვთ გამოთქმული (ივ. გიგინეიშვილი, ფ. მაკალათია, ა. არაბული...).

2. ჩვენი აზრით, ხევსურულისათვის ხსვა ახლომდგომ მთის კილოთა ანალოგიურად, ამოსავალია ჩვეულებრივი მხოლოდობითი-მრავ-

ლობითი რიცხვის ოპროზიცია „ერთი — მრავალი?, რომლის ფუნქციურ-სემანტიკური რეინტერპრეტაციის (მნიშვნელობის დავიწროების / გაფართოების, სემანტიკური გადახრის...) შედეგად ჩამოვლიბდნენ: ა) კრებითი სხაელები: საკვამ-ნ-ი, კლდე-ნ-ი (მრავალწახნაგონობის სიმრავლე), ქოჩ-ნ-ი, ტყე-ნ-ი (მრავალღეროვნობის სიმრავლე), ქიჩილა-ნ-ი (კომპლექსურობა), ქვიშა-ნ-ი (ნაწილაკთა სიმრავლე), სულ-ნ-ი (წარმოდგენითი სიმრავლე და მრავალგვაროვნობა...; ბ) ლურაღია თანტუმ-ები: **ყდა-ნ-ი** („საქსოვი მოწყობილობა“), **ყალ-ნ-ი** („ერთგვარი ციგა“)...; გ) ექსპრესიული (რესპ. ინტენსიური) სემანტიკის შემცველი სახელები: ჯაჯ-ნ-ი (ჯახანი), წკაპ-ნ-ი (წკაპანი), ტყაპ-ნ-ი (ტყაპანი)...; დ) წყვილობითი მნიშვნელობის გამომხატველი სახელები: **ვაჟ-ნ-ი, ქალ-ნ-ი, ძაღლ-ნ-ი, ვბო-ნ-ი...**

3. მრავლობითი რიცხვისა და მისი გადააზრიანებით მიღებული სახელების კვლევისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს იმ კუთხის ტრადიციული საზოგადოების ეთნოლოგიური და რელიგიური რეალიები, რომლის წევრთა ცნობიერებაშიც ყალიბდებოდა ამა თუ იმ საგნის (რესპ. მოვლენის) სიმრავლის გაგება. სავარაუდოა, წყვილობითად გაგებული ფორმები (ვაჟ-ი — ვაჟ-ნ-ი, ქალ-ი — ქალ-ნ-ი...) წარმოადგენდნენ რაღაც მთლიანის (ოჯახი, და-ძმები...) ცალკეულ ნაწილებს ან ამ ნაწილთა ერთობლიობას.

წინამდებარე მოხსენებაში წარმოდგენილია მრავლობითობისა და კრებითობის დამოკიდებულების ახსნის ცდა.

მანანა ბუკია

(თბილისი. არნ. ჩიქოვას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

რიცხვით სახელთა წარმოებისათვის მეგრულ-ლაზურში

რიგობითი რიცხვითი სახელის წარმოება მეგრულ-ლაზურში წარმოდგენილია **მა-ა / მა-ან** თავსართ-ბოლოსართით:

მა-ჟირა-ა / მა-ჟერა-ა / მა-ჟია-ა (მეგრ.), **მა-ჟურა-ა / მა-ჟურა-ანი-ა / მა-ნ-ჯურა-ა / მა-ნ-ჯურა-ანი-ი** „მეორე“;

მა-სუმა-ა / მა-სგმა-ა (მეგრ.), **მა-სუმა-ა / მა-შუმა-ა / მა-სუმ-ანი-ი** (ლაზ.) „მესამე“;

მა-ვით-ა (მეგრ.), **მა-ვით-ა / მა-ვით-ან-ი** (ლაზ.) „მეათე“.

გ. როზენი რიგობით რიცხვით სახელად მიიჩნევს ნაცვალსახელი-ან ფორმებს: **არ მუშ** „პირველი“ ზედმ. „ერთი მისი“, **ჟურ მუშ** „მეორე“, ზედმ. „ორი მისი“, **სსუმ მუშ** „მესამე“, ზედმ. „სამი მისი“, **ოთხო მუშ** „მეოთხე“... აზრობრივად ეს ფორმები ასე გაიგება: „პირველი მათგანი“, „მეორე მათგანი“, „მესამე მათგანი“, „მეოთხე მათგანი“...

ნ. მარის მითითებით, ლაზურში რიგობით რიცხვით სახელებს -**ონ** სუფიქსი აწარმოებს: **ვითოართონი** „მეთერთმეტე“, **ვითოჟურონი** „მეთორმეტე“, **ვითოსუმონი** „მეცამეტე“...

პირველის აღსანიშნავად მეგრულში ქართული **პირველი / პრიველი / პრიელი** ფორმა გვაქვს, მაგრამ **ართ**-ისგან ნაწარმოები რიგობითი რიცხვითი სახელი თავს იჩენს რთულ სახელებში: **ერდომა-ართა** „ოცდამეერთე“, **ჟარნერდომაართა** „ორმოცდამეერთე“, **ოშ მაართა** „ას მეერთე“.

ლაზურში პირველის მნიშვნელობით გვაქვს **ართელი**, სადაც პირველი ნაწილი მეგრულ-ლაზურ **ართ**-ს („ერთი“) უკავშირდება, აგრეთვე გვხვდება თურქულიდან შეთვისებული **ბირინჯი**. ს. ჟღენტი მიუთითებს ლაზურში პირველ-ის მნიშვნელობით **მა-ართ-ან-ი** ფორმის არსებობას: **მართანი სერს** „პირველ ღამეს“. ლაზურ ცოცხალ მეტყველებაში ეს ფორმა ვერ დავადასტურეთ.

წილობითი რიცხვითი სახელი მეგრულში იწარმოება **ნა-ალ / ნა-ორ** თავსართ-ბოლოსართით და ანალოგიურია ქართული **ნა-ალ**-ისა:

ნა-სუმ-ორ-ი (მეგრ.) — **ნა-სამ-ალ-ი** „მესამედი“

ნა-ვით-ალ-ი — **ნა-ათ-ალ-ი** „მეათედი“...

ლაზურში წილობითი რიცხვითი სახელი ვერ დავადასტურეთ. გვარაუდობთ, რომ ნ. მარის მიერ მითითებული -ონ სუფიქსით ნაწარმოები რიგობითი სახელები წარმოშობით წილობითი უნდა ყოფილიყო. ფორმებში დაკარგულია ნა- პრეფიქსი, რომელიც წინა ვითარებას აღნიშნავდა.

თ ე ა ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე

(თბილისი. არნ. ჩიქოვას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

შემასმენლისა და ქვემდებარის რიცხვში შეუთანხმებლობის ზოგი საკითხი ქართლურში

1) შემასმენელს სინტაქსურად მრავალი წევრი უკავშირდება. ეს შეიძლება იყოს არა მხოლოდ ქვემდებარე და დამატება-ობიექტები, არამედ წინადადების არამთავარი წევრებიც — უბრალო დამატება და გარემოება (მისი ყველა სახე). ღვანსხვაგვრა ისაა მათ შორის, რომ ქვემდებარე და დამატება-ობიექტები შემასმენელთან დაკავშირებული არიან არა მარტო აზრის მიხედვით, არამედ ფორმის თვალსაზრისითაც. არამთავარ წევრებთან ზმნა-შემასმენლის ურთიერთობისას თუ ცალმხრივი დაქვემდებარება გვაქვს, მთავარ წევრებთან ეს დაკავშირება საურთიერთოა: შემასმენელი შეიწყობს ქვემდებარეს და დამატება-ობიექტებს ბრუნვაში, თვითონ კი ეთანხმება მათ პირსა და რიცხვში.

ენაში შემუშავებული კანონის მიხედვით შემასმენელი მხოლოდით რიცხვში დგას კრებითი სახელით გადმოცემულ ქვემდებარესთან. ასეთივე ვითარება გვაქვს რიცხვითი სახელით (ერთზე მეტი) ან განუსაზღვრელი ნაცვალსახელებით გადმოცემულ ქვემდებარესთანაც.

2) ქართლურ დიალექტში გვხვდება ისეთი ფორმები, სადაც შემასმენლისა და ქვემდებარის რიცხვში შეთანხმების გვერდით ხშირ შემთხვევაში მიღებული წესიდან გადახვევაცაა. მაგ.: იარეს, **იარეს ხუთნივემ** და მიაღვნენ ერთ ხენწიფის კარებზე; **შეიყარნენ მრავალი** დიდი ნამსწავლი **ხალხი**; ეს **ხალხი** რომ **გავიდნენ**, მოკრიფა ამ ქალმა ბაღებიდან ხურმა; ეს **ხუთთავე ძმები** ერთ დღეს **წავიდნენ** ტყეში; ერთი სუყველას ჯობდა და **ცხრამეტი უხირდებოდნენ**; ერთმა **ქალმა** და **კაცმა ჩაიარეს** ცხენზე შემჯდარი;

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ზოგ შემთხვევაში ერთ წინადადებაში შეგვხვდა როგორც რიცხვში შეთანხმებული, ისე შეუთანხმებული ფორმები: მინდორში **ზოგი ხნამენ**, **ზოგი** ტრაქტორ **ამუშავებენ**, **ზოგი ლეწამენ**, **ზოგი** საქონელ **აძოებს**, **ზოგი** წყალსა **აზიდამს**, **ზოგი** სიმინდსა **აძწყამს**, **ზოგი** ჭარხალსა **აწყამს**.

ნარ-იანი მრავლობითის შემთხვევებში შემასმენელიც ნარ-იანი ფორმითაა, მიუხედავად იმისა, რომ ქვემდებარედ კომპოზიტია: **იყვნენ** ერთნი **ცოლ-ქმარნი**; ქახგრელში **ორ-ორმა იციან** ეს ამბავი.

ლ ე ლ ა გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი , მ ე დ ე ა ს ა ლ ლ ი ა ნ ი
(თბილისი. არნ. ჩიქოავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

ზემო სვანეთიდან XX საუკუნის 50-იან წლებში სამეგრელოში ჩასახლებულ სვანთა მეტყველებისათვის

2009 წელს საქართველოს რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული ერთწლიანი პროექტის — „ნახევარი საუკუნის წინ ქალაქ ზუგდიდში ჩასახლებული სვანების მეტყველების ნიმუშები“ გეგმით გათვალისწინებული იყო ექსპედიცია სამეგრელოს რეგიონში, კერძოდ, ქალაქ ზუგდიდის სხვადასხვა სოფლებში (რუხი, ზედაეწერი, ჭკადუაში, ოდიში, ნაწულუკუ, ნარაზენი, რიყე, ჭვარი...), რაც ითვისწინებდა ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ ზემო სვანეთიდან და, ასევე, კრასნოდარის ოლქიდან, ჩასახლებულ სვანთა მეტყველების ნიმუშების ჩაწერას, რამდენადაც იქ სრულიად განსაკუთრებული ვითარებაა. აქ ჩასახლებულ სვანთა მეტყველებით, როგორც ცნობილია, დღემდე არც ერთი ენათმეცნიერი არ დაინტერესებულა და, შესაბამისად, ტექსტებიც არავის ჩაუწერია.

ზუგდიდის რეგიონის სვანური მეტყველების ინტერფერენციულობა საკმარის თვალში საცემია, რაც, აშკარაა, განაპირობა წლების განმავლობაში მეგრულენოვანი მოსახლეობის გვერდით თანაცხოვრებამ. აღნიშნული საკითხის უკეთ გააზრებისთვის კი მეტად მნიშვნელოვანია ტექსტების ჩაწერა, რომელიც მომავალში საშუალებას მისცემს სვანური ენის სპეციალისტებს დაკვირვება მოახდინონ სამეგრელოს სვანურ მეტყველებაზე, როგორც ინტერფერენციულ მეტყველებაზე.

ქალაქ ზუგდიდში, ძირითადად, ცხოვრობენ ენგურის ხეობის სოფლებიდან (წვირმიდან, ელიდან, იფარიდან, კალადან, მულახიდან, ადიშიდან, ლატალიდან, ცხუმარიდან, ბეჩოდან, ეცერიდან, ფარიდან...) ჩამოსახლებული ბალსზემოელები და ბალსქვემოელები.

გეოგრაფიული გარემოცვიდან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩინია სვანური ტექსტების პუბლიკაცია, რამაც განსაზღვრა სრულიად ახალი ტექსტების ჩაწერა, ზუგდიდის სხვადასხვა სოფელში ჩასახლებულ სვანთა (ბალსზემოელთა და ბალსქვემოელთა) მეტყველების მი-

ხედვით, თანამედროვე ტექნიკის (ვიდეო და აუდიოაპარატურის) გამოყენებით.

ჩაწერილ იქნა აქაური მოსახლეობის მიერ უძველესი ეპოქებიდან დღემდე მკვეთრად შემორჩენილი ტრადიციები: წარმართული თუ ქრისტიანული დღესასწაულები, ღვთისმსახურება, სამართალი — მედიატორობა, ნიშნობა — ქორწინება, თემისა და სოფლების ურთიერთმიმართება, საქონლის მოვლა, სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა დარგები, სამონადირეო რიტუალები, ლეგენდები, ზღაპრები, ისტორიული ამბები, სვანური სამზარეულო, სახუმარო ამბები, ტოპონიმები და ა. შ.

ინფორმატორებად შევარჩიეთ სხვადასხვა სქესისა და ასაკის ადამიანები, რომელთაგანაც განსაკუთრებული ყურადღება მიიქცეის ასაკოვნა მთქმელებმა (87 წლის ნადია ფანგანმა, 80 წლის თინა ვიბლიანმა, 78 წლის ბიძინა გიგლემიანმა, 78 წლის ბაჭუ გუჯეჯიანმა, 78 წლის ლოლა ზვისტანმა...). მიუხედავად ჩვენი გულმოდგინე ცდისა, ვერ შევძელით შედარებით ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებთან მუშაობა. მათ რატომღაც არ ისურვეს სვანურად საუბარი, როგორც ჩანს, გაუმართავი სვანური მეტყველების გამო.

ჩვენი დაკვირვებით, ნახევარი საუკუნის წინ ზემო სვანეთიდან ქალაქ ზუგდიდში ჩასახლებულ სვანთა მეტყველებაში შევნიშნეთ როგორც სვანურ-მეგრული, ასევე სვანურ-ქართულ-მეგრული და სვანურ-ქართულ-რუსული ინტერფერენციის რამდენიმე საინტერესო შემთხვევა.

სამეგრელოს რეგიონში მცხოვრობ სვანთა მეტყველებაზე დაკვირვება, რასაკვირველია, კვლავაც გაგრძელდება ჩვენ მიერ მოპოვებული მრავალფეროვანი კილო-კაური მასალების საფუძველზე. აუცილებლად მიგვაჩნია აღნიშნული მასალის შედარება როგორც ზემოსვანურ (ბალსზემოურ-ბალსქვემოურ) დიალექტურ, ასევე მოძმე მეგრული ენის მონაცემებთანაც და მხოლოდ ამის შემდგომ უნდა იქნეს გამოტანილი საბოლოო დასკვნები.

ჩვენს მიერ ქალაქ ზუგდიდში საველე პირობებში მოპოვებული მასალა (წარმართული თუ ქრისტიანული დღესასწაულები, ღვთისმსახურება, სამართალი — მედიატორობა, ნიშნობა — ქორწინება, თემისა და სოფლების ურთიერთმიმართება, საქონლის მოვლა, სამეურნეო სა-

ქმიანობის სხვადასხვა დარგები, სამონადირეო რიტუალები, ლეგენდები, ზღაპრები, ისტორიული ამბები, სვანური სამზარეულო, სახუმარო ამბები, ტოპონიმები და ა. შ.) მეტად მნიშვნელოვნად გვესახება მეცნიერული თვალსაზრისით, რადგანაც, როგორც უკვე ითქვა, დღემდე არ არსებობდა არც ერთი სტამბურად გამოცემული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩასახლებულ სვანთა მეტყველების ნიმუშები, ანუ პროზაული ტექსტები, რაც ქართველოლოგიის, კერძოდ, ქართველური ენათმეცნიერების, სერიოზულ ხარვეზად მიგვაჩნია. ჩვენ თავის დროზე აღვნიშნეთ, რომ პროექტის შესაძლო შედეგი სწორედ ამ ტექსტების ბეჭდურად გამოცემაა. ამგვარი შედეგის პოტენციური მომხმარებლები იქნებიან: სპეციალური განყოფილების სტუდენტები, ქართველი და უცხოელი ქართველოლოგები, აგრეთვე, ამ საკითხებით დაინტერესებული სხვა მკვლევრები.

საველე პირობებში ჩვენს მიერ მოპოვებული მრავალფეროვანი მასალა მომავალში ენათმეცნიერებს საშუალებას მისცემს დაკვირვება მოახდინონ სამეგრელოს სვანურ მეტყველებაზე, როგორც ინტერფერენცირებულ მეტყველებაზე.

დასასრულ გვინდა უღრმესი მადლიერების გრძობით მოვიხსენოთ ყველა ის ადამიანი, ვინც ექსპედიციაში ყოფნის პერიოდში გულთბილად გვიმასპინძლა და დახმარება გაგვიწია ჩვენს სამეცნიერო საქმიანობაში.

ნ ი ნ ო გ ი ო რ გ ა ძ ე

(თელავი. ი. გოგებაშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი)

მწერალი და დიალექტი

დიალექტი ენის თვითმყოფობის შენარჩუნების საუკეთესო საშუალებაა. ამავე დროს ის სალიტერატურო ენის გამდიდრების უმნიშვნელოვანესი წყაროსცაა.

მხატვრულ ლიტერატურაში დიალექტიზმები ძირითადად პერსონაჟთა მეტყველებაში გვხვდება, თუმცა იშვიათად მწერლისეულ ენასაც ახასიათებს. მაგ. ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური მონევიზმები ნი-

შანდობლივია ალექსანდრე ყაზბეგის არა მხოლოდ პერსონაჟთა მეტყველებისათვის, არამედ თვით მწერლის ენისთვისაც.

სწორად შენიშნა კ. გამსახურდიამ, რომ „ყოველი დიდი ოსტატი ქართული ენისა უწინარეს ყოვლისა თავის კუთხეში დაგროვილი სიტყვის მარაგით ამდიდრებდა და ამკობდა ქართულ მეტყველებას“.

მშობლიური, გურული მეტყველების თავისებურებები შემოიტანეს მწერლობაში ენინოშვილმა, ჭ. ლომთათიძემ, ნ. დუმბაძემ; იმერულსა დ. კლდიაშვილმა, ნ. ლორთქიფანიძემ, ო. იოსელიანმა; კახურისა - ი. ჭავჭავაძემ, გ. ლეონიძემ, რ. ინანიშვილმა; ფშაური დიალექტის თავისებურებები უხვადაა წარმოდგენილი ვაჟა-ფშაველას როგორც ავტორისეულ, ისე გმირთა მეტყველებაში; ქართლურისა - შ. არაგვისპირელის, მ. ჯავახიშვილის, ო. ჩხეიძის თხზულებებში; მთიულურ-გულდამაყრულისა გ. ჩოხელის პერსონაჟთა მეტყველებაში.

დიალექტი მხოლოდ სალიტერატურო ენის გამდიდრების წყარო როდია. მხატვრულ ლიტერატურაში დიალექტიზმი გმირის ხასიათისა და კოლორიტულობის გამოკვეთის მხატვრული ხერხიცაა. ზოგჯერ კი ნაწარმოების იდეურ-თემატური მიზანდასახულობის ჩვენებას უწყობს ხელს. მაგ. ლელთ ღუნისა მოხეგური მისი ზედმიწევნით ეროვნული ბუნების ხაზგასმას ემსახურება. იგი ქართულ ლიტერატურაში დიალექტზე მოსაუბრე ერთ-ერთი პირველი ლიტერატურული გმირია. მოხევე თავისი ქმედებით, აზროვნებით, დაუმონავი სულით, ქვეყანაზე მტკივანი გულით ის ჯანსაღი ინდივიდია, სანთლით საძებარი რომ გამხდარა უღელდადგმულ საქართველოში.

საგულისხმოა ისიც, რომ ლელთ ღუნია მწერლის მშობლიურ დიალექტზე არ მეტყველებს. ეს იდეური ჩანაფიქრის შემადგენელი ნაწილია.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე მიხ. ჯავახიშვილის „თეთრი საყელო“. რომანის გმირებიც მწერლის არამშობლიურ დიალექტზე საუბრობენ. ავტორს გმირთა მეტყველებაში ხევსურული შემოაქვს. დიალექტისადმი ერთგულება ამ კუთხის მკვიდრთა დაუმორჩილებელი ბუნების მახასიათებლად აღიქმება. „წითელი ეშმა“ შუასაუკუნეების დონეზე დარჩენილ ხევსურეთს ჯერ არ შეხებია. ამდენად, იქ ყველაფერი ქართულია. ეროვნული შენახულა გმირთა ხასიათშიც და მეტყველებაშიც. ის, რაც ქალაქს, ზოგადად, ბარს დავიწყებია, მთას შემორჩენია.

ჯურხასკარში ელიზბარი ქართული ბუნებისათვის აუცილებელ თვისებებს იძენს. მან წინაპართა კვალზე შედგომა ისწავლა-„გაწიკ-

ლაურდა“. იქ იგრძნო რანი ვიყავით და როგორებად უნდა დავრჩეთ. იქ შეიცნო ზნეობისა და ვაჟკაცობის ფასი. ისწავლა იარაღის ხმარება, ნადირობა, დაძლია ყოველგვარი შიში, გაძლიერდა ფიზიკურად, იგრძნო ძალა ნამდვილი სიყვარულისა, შეიცნო ჭეშმარიტი ბუნება ქართული ენისა; ჯურხა მას „ნამდვილ ქართულს“ ასწავლის. ამიტომაც ავიწყდება დღეში რამდენიმე იზმური სიტყვა. საკუთარი სურვილით ათავისუფლებს ტვინს „იზმებისაგან და აციებისგან“. გმირის ენისადმი ამგვარი დამოკიდებულებით მიხეილ ჯავახიშვილი ერთგვარად იზიარებს კ.გამსახურდიას თვალსაზრისს: „მე პირადად, როგორც მწერალი, მუდამ მოწადინებული ვარ გავდევნო ქართული ენიდან ის ზედმეტი ბალასტი, რომელიც საუკუნეების გავლენით ჩაღვკილა ქართულ ენაში. პარალელურად, ჩემის აზრით, უნდა ხდებოდეს ენის რეპარაცია ადგილობრივი დიალექტების ლექსიკის საშუალებით“.

პერსონაჟთა ეროვნული სულის ოდენობის საზომად რომანისტიმა მათი ენისადმი დამოკიდებულება აქცია. მოჭარბებული რუსული ლექსიკით აჭრილი ქართულით მოლაპარაკე ცუცქიაში არაფერი ქართული არ არის. ის საბჭოთა წყობილების პირმშოა. ელიზბარისათვის ისეთივე თავსმოხვეული უბედურებაა, როგორც ქვეყნისათვის „წითელი ეშმა“.

სულ სხვაა ჯურხა. ის სწორედ ენის საშუალებით შეზრდია თავის მიწა-წყალს. ჯურხა ლელთ ღუნისა მოდგმის ტუტეხი სულია, მისი შემწეობით ხდება ელიზბარის სულიერი მეტამორფოზა. ელიზბარმა ხევსურეთში ვაჟიკად ქცეულმა, ჯურხას კარში ის შეიძინა, რაც ქალაქში ცუცქიასაგან ელიზად სახელდებულს აკლდა.

ენისადმი მწერლის დამოკიდებულება მკითხველს ეხმარება „თეთრი საყელოს“ პრობლემეტიკის გაცნობიერებაში. აქ უმთავრესი არა ცივილიზაციის მიღება-არმიღების საკითხია, არამედ ეროვნული.

მიხეილ ჯავახიშვილის „თეთრი საყელო“ კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, თუ რაოდენ დიდი ფუნქცია შეიძლება დაეკისროს დიალექტს მხატვრული ნაწარმოების იდეურ სრულყოფაში. და ამავე დროს, ბადებს სურვილს იმისას, რომ სალიტერატურო, სამწერლობო ენამ უხვად ისარგებლოს იმ მდიდარი ლექსიკური მარაგით, რომელიც დიალექტებში გვხვდება.

გიორგი გოგოლაშვილი

(თბილისი. არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

ვაჟა-ფშაველას ენობრივი სამყარო

როცა საუბრობენ ვაჟა-ფშაველას ენაზე, უპირველესად (და ზოგჯერ მხოლოდდამხოლოდ) დიალექტიზმების შესახებ ამახვილებენ ყურადღებას. სამწერლო ასპარეზზე ვაჟა-ფშაველას გამოჩენისთანავე მიიქცია ამ ფაქტმა ყურადღება და უარყოფითი შეფასება მიეცა... თითქმის ყველა კრიტიკოსი ამახვილებდა ამ ფაქტზე ყურადღებას; იყო ზერელე, ზოგადი და, ზოგჯერ, არაპროფესიონალური შეფასებები... ვაჟა-ფშაველა მის მიმართ ენობრივ საკითხებზე გამოთქმული კრიტიკისადმი შეურიგებელი იყო; გვახსოვს — „მე არცერთ კილოს არ ვწუნობ“ და სხვა.

ზოგს მიაჩნდა, რომ ვაჟა-ფშაველა ჭარბად გამოიყენებდა დიალექტიზმებს: „ვაჟა მეტად ნიჭიერი მწერალია. იგი შეუდარებელი ენით წერს პროზად, ლექსის ენა კი მიუღებელია“ (აკაკი); ანდა: „ვაჟას პოეზია უთუოდ მოიგებდა, რომ კუთხური კილოს დომინანტა შეერბილებინა ოდნავ“ (კ. გამსახურდია).

მეორე მხრივ, იყო ხოტბა უფრო ზოგადი ხასიათისა: „მთელი თავისი სისადავით ვაჟა-ფშაველას ენა იყო მეფური და ზარადიანი, რომელიც გავგონებდნავ გიტაცებთ. ორიოდ სტრიქონის უმალ უკვე სხვა ფანტასტიკურ სამყაროში გადადიხართ“ (არტურ ლაისტი). ანდა, „უნდა ითქვას, რომ ეგ საყვედური (იგულისხმება აკაკის „ენას გიწუნებ, ფშაველო“ — გ. გ.) სავსებით სამართლიანი არ არის. მართალია, ვაჟა-ფშაველას პოემების ზოგიერთი გამოთქმის გასაგებად საშუალო მკითხველს ლექსიკონის დახმარება სჭირდება, მაგრამ მისი ენა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „სიმტკიცით მსგავსია კლდისა სალისა“ (გ. ქიქოძე)... სხვაც შეიძლებოდა მოგვეხმო...“

დაისვა კითხვებიც, რომლებიც დღემდე პასუხგაუცემელია: „რისთვის დასჭირდა ვაჟას თავისი პოემების წერისას ასე ღრმად შეჭრილიყო დიალექტურ შრეებში? რისთვის დასჭირდა დიალექტური მიმოხრებისა და ნიუანსების წინა პლანზე წამოწევა? რისთვის დასჭირდა უამრავი სიტყვისა და გამოთქმის შემოტანა, რომლებსაც მანამდე არ იცნობდა ქართული პოეზია?“ (თ. ჩხენკელი)... კითხვათა გამრავლება შეიძლება: დიალექტიზმებთან დაკავშირებით რატომ ვსა-

უბრლბთ მხოლოდ პოემებზე და არა ზოგადად პოეზიაზე, ანდა თუნ-
დაც პროზასა და პუბლიცისტიკაზე? რა სახის დიალექტიზმებს
გამოიყენებს ვაჟა-ფშაველა და იმავე დიალექტიდან (თუ დიალექტი-
დან) რატომ არ ხმარობს ყველა ტიპის დიალექტიზმებს? რა არის
მიზანი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დიალექტიზმების გამოყენე-
ბისა (რა მხატვრული ფუნქცია აკისრია მას)? და სხვა, და სხვა...

ყველა ეს კითხვა (და არამხოლოდ) პასუხგასაცემია...

ასე რომ, ძალაში რჩება მოსაზრება: „ვაჟა, როგორც ენობრივი
მოვლენა, დღესაც შეუსწავლელია“ — კ. გამსახურდია.

თ ა მ უ ნ ა დ ე მ ე ტ რ ა შ ვ ი ლ ი

ნ ა ტ ო გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი

(გორის სასწავლო უნივერსიტეტი)

სოფელ ტყვიავის ონომასტიკური მასალები

გორის რაიონის სოფელი ტყვიავი დიდი სოფელია, აქ თითქმის
ათას კომლამდე სახლობს. ის დიდი ხნის განმავლობაში ქსნის საე-
რისთაოში შედიოდა და ეს არის მიზეზი, რომ მთის რეგიონიდან,
კერძოდ პატარა ლიახვის, გვერდისძირის, თვით ქსნის ხეობის სოფ-
ლებიდან არიან ჩამოსახლებულები. აქაურთა მეტყველებიდან საინტე-
რესოა ონომასტიკური მასალა, კერძოდ ანთროპონიმები, ზედმეტი
სახელები, რომელიც ენის უძველეს ფონდს განეკუთვნება.

ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალები ბევრ საინტერესო ენობრივ მასა-
ლას გვთავაზობს ამ მიმართულებით.

ძირითადად ჩვენი ანალიზის საგანი იქნება ხმოვანფუძიანი სახე-
ლები, მეტსახელები და გვარები. ვფიქრობთ, საანალიზო მასალა
სხვადასხვა დიალექტურ წრეს განეკუთვნება.

ლი ლ ე თ ა ნ დ ი ლ ა ვ ა

(ბათუმი. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

თურქული ელემენტები კლარჯულში

ქართული ენის კლარჯული დიალექტი ჭოროხის ხეობის ქვემო
წყლის მკვიდრთა მეტყველებაა. აქ სხვა დიალექტებთან შედარებით
უფრო კარგად არის შემონახული ქართული. დღევანდელ დღეს
კლარჯეთი თურქეთის საქართველოს ერთ-ერთი ნაწილია. ეს
მეტყველება პირველად შეისწავლა მერი ცინცაძემ („კირნათ-მარადი-
დის მეტყველების თავისებურებანი“, ბათუმის პედ. ინსტიტუტის სა-
მეცნიერო შრომები I 1954).

ჩვენი საკვლევი ობიექტი არის ამ დიალექტებში შესული თურ-
ქული ელემენტები. ასეთივე კვლევას ვატარებდი ლაზურის ხოფურ
და არქაბულ კილოკავებში. ორივე კილოკავი თურქეთის ტერიტორი-
აზე მდებარეობს. აქაურებს ორი ენა აქვთ. ერთი საგარეო და ერთი
საშინაო. საერთო თურქული აქვთ, რომელიც სახელმწიფო ენაა და
განათლების მისაღებად, ურთიერთობისათვის ორივენი თურქულ ენას
იყენებენ. საშინაო ქართული და ლაზურია. ძირძველი ხალხი ძირ-
ძველ მიწაზე განაგრძობენ ცხოვრებას და დღემდე მოიტანეს
თავიანთი ენა.

ლაზურში თურქული საკმაოდ ბლომადაა თავისი ლექსიკური და
გრამატიკული ფორმებით შეჭრილი.

კლარჯულში ეს როგორ ხდება, ამას კვლევა გვიჩვენებს. მასალი-
დან ჩანს რომ ყველა სახის სახელი არის გადმოსული სხვადასხვა
ფონეტიკური ცვლილებებით.

— მე ვქორდები, თვალების ჩინი წამივიდა;

ვქორდები — ვბრმავდები.

Kör — olmak (თურქ.) — დაბრმავება

— ჰუღუღი — ჩეიჭრა, აქვერელები იქეთ დარჩენ

ჰუღუღი — საზღვარი

Hudut — (არაბ. თურქ.) — საზღვარი

ჩავჭრით თენჯერეში, სოღან ჩავჭრით, წყალი არნა დაასხა.

თენჯერე — ქვაბი **Tencere** (თურქ.)

სოღან — ხახვი **Soğan** (თურქ.)

მუსაფირი გამიხარდებიან, მიამებიან.

მუსაფირი — სტუმარი — **Misafir** (თურქ. არაბ.)

მე ქვედა მეჭელეს გოგო ვარ.

მეჭელე — უბანი — Mahale (თურქ.).

აქ არის თომათესი, სიმინდი, სალათალუდი, ხაპი, აყირო.

თომათესი — პომიდორი — Domates (თურქ.).

სალათალუდი — კიტრი — salatalik (თურქ.).

ზოგი თურქული სიტყვა უცვლელად შევიდა კლარჯულში, ზოგი ცვლილებებით. ზოგი სიტყვა ქართულად არის გაფორმებული, ზოგი კი თურქული გრ. ფორმებით გადმოდის.

მცირე მასალიდან ჩანს თუ რა სახის თურქიზმებია შემოსული კლარჯულში.

მასალებად გამოყენებულია შრსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამხრეთ დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის კრებული VI, ბათუმი, 2009. გვ. 231-290.

მ ა კ ა თ ე თ რ ა ძ ე

(თბილისი. არნ. ჩიქოვას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

სოფელ პატარძელის მიკროტომონიმა (სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზისთვის)

სამეცნიერო თვალსაზრისით გარე კახეთის ონომასტიკონი ნაკლებადაა შესწავლილი. ამჟამად ჩვენი ინტერესის ობიექტი იყო სოფელ პატარძელის ონომასტიკა, კერძოდ, ტომონიმა და ჰიდრონიმა.

საკუთრივ ტომონიმ **პატარძელის** შესახებ არსებობს ვრცელი გამოკვლევები (ა.შანიძე, გ.ლეონიძე, უ. სახლთხუციშვილი). შესწავლილია აგრეთვე სოფელ პატარძელის ძირითადი რამდენიმე ტომონიმი. არსებობს სადოქტორო დისერტაცია (ნ. ივანელაშვილი), რომელიც უშუალოდ საგარეჯოს რაიონის ტომონიმიკას ეძღვნება და მათ შორის აღწერილია სოფ. პატარძელის ტომონიმებიც, თუმცა როგორც აღმოჩნდა, ტომონიმთა სია არასრულია.

ჩვენ სპეციალურად ადგილზე ჩავიწერეთ ონომასტიკური მასალა და გავარკვეეთ, რომ ჩვენ მიერ ჩაწერილ ტომონიმებსა და ჰიდრონიმებში არის ისეთებიც, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში არაა დაფიქსირებული.

მოხსენებაში მოვიყვანთ სწორედ ამ ახალ მასალას; ზოგ სახელს თან ერთვის როგორც ხალხური ახსნა, ასევე, თუ შესაძლებელია, ჩვენი ანალიზიც.

პატარძელის მიკროტომონიმა მოიცავს მთების, სერების, წყლებს, ხევების, სახნავ-სათესი ადგილების, მინდვრების, უბნების სახელწოდებებს. ხშირად ერთი და იგივე სახელი აღნიშნავს ადგილსაც და წყალსაც (მაგ., ჭინჭრინი). უმეტეს შემთხვევაში ტომონიმს ახლავს ინდიკატორი (ხევი, ღელე, წყალი, გორა...). საინტერესოა ის დიალექტური ფორმები, რომლებიც ტომონიმიკურ მასალაში შეგვხვდა. მოხსენებაში წარმოვადგენთ ჩვენ მიერ ჩაწერილ 115 შინაარსობრივ ჯგუფებად დაყოფილ ტომონიმურ ერთეულს, რომლებიც მანამდე გამოქვეყნებულ სამეცნიერო ლიტერატურაში არ გვხვდება. ამასთან, მოვიყვანთ იმ ხალხურ გადმოცემებსაც, რომლებიც უკავშირდება პატარძელის ეკლესიებისა თუ სხვა ისტორიული ძეგლების სახელწოდებებს.

გარდა იმისა, რომ ახალი ფაქტობრივი მასალის ჩაწერა საჭირო საქმეა ონომასტიკისათვის, მასალის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი საინტერესო სურათს გავძლევს დიალექტოლოგიისათვისაც.

მ ა ი ა კ ი კ ვ ა ძ ე

(ბათუმი. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

მყოფადის გამოხატვის საშუალებანი შავშურში

შავშური მეტყველება მყოფადის წარმოების მეტად საინტერესო სურათს ქმნის. აქ დაცულია არქაული ვითარება — უპირატესობა ენიჭება კავშირებითის მწკრივებს. მომავალი დროის გამოსახატავად ზმნისწინიანი აწმყოს პარალელურად გამოიყენება კავშირებითის, მეტწილად II კავშირებითის ფორმები, ერთმანეთს ენაცვლება I და II კავშირებითებიც:

1. კავშირებითის მწკრივები მომავლის მნიშვნელობით: თუ ქემალამ არ მეიწონა, მე **ავართვა**...სკამები **მოცეთ**, ემეები დათაღეთ; ჩვეიღეთ, ჭადი **ჩევისხა**, **გაქამოთ**; შიერი არ **იყოთ**, საჭმელი **მოგცეთ**; მეც **მოგეკრა**;

2. ზმნისწინიანი აწმყოსა და მყოფადის პარალელურად კავშირებითი გამოიყენება ერთსა და იმავე წინადადებაში: საჭმელი გემშევიან, **მოგართვამთ**, ჭამეთ, ჩაი **გასვათ**; რომელცხა კარზე **მინვიდე**, იქ **დაგაყენებენ**; ერთი **ჩავალ**; ძროხა **ავაძრო**, ახორშია; დიობინ წეიყვანეთ, ზათი ვერ **იცოცხლებენ**;

ერთსა და იმავე წინადადებაში მონაცვლეობენ კავშირებითები: რაა **გითხრა**, **ვიცოდე**, **ვიტყოდე**; სობაა დავანთე, აქ **ადულდეს** და ჩაი **გიგოკეთო**.

3. საგანგებო ყურადღების ღირსია II კავშირებითში **უნდა** ზმნის შეკვეცილი სახეობების ნაირგვარი გამოყენება. შავშურში დასტურდება როგორც **ნა**, ასევე **და** მორფემოიდები. ისინი დაერთვის სხვადასხვა მეტყველების ნაწილს: წყალი'ნა ჩავასხა; **მზემა'ნა** მიანათოს; რაა' **ნა** ვქნა; ვერ'ნა გიცნო; იქ'ნა ვიყო; რათ'ნა ვექოლავო, ვეხიზმეთქარო?; ედღოს'ნა; მოლოცავი'ნა იყო; ფეხზე'ნა ვუყურო; შორიდან'ნა მათქრა... ფქვილი'და ამუთყიდო; გადმოსკდეს'და; შენი დასმული'და მოგცეს ღმერთმა.

-ნა და **-და** ერთსა და იმავე წინადადებაში ერთმანეთის გვერდიგვერდაც გვხვდება: მახასით'ნა მოკნაჭო'და; გუდუღუწურო'ნა, გუდუღუწურო'და...

მ ა რ ი ა მ კ ო ბ ე რ ი ძ ე

(გორის სასწავლო უნივერსიტეტი)

ნასახელარ ზმნათა წარმოებისათვის ფრონეს ხეობის ქართლურში

ფრონეს ხეობის ქართლური მდიდარია ნასახელარი ზმნებით. ყურადღებას იქცევს სახელთა ფუძეებისაგან ზმნათა თავისებური წარმოების რამდენიმე შემთხვევა:

1. ზმნის ფუძედ გამოყენებულ მარტივ სახელებს დაერთვის ზმნური აფიქსები. მაგალითად: **ჩალა** (სიმინდის გამხმარი ღერო ფოთლებთან ერთად) → **ა-ჩალ-ავ-ს** — გვალვა უნაყოფოდ გაანძობს სიმინდს, ლობიოს, ბოსტნეულს. „დიდი გვალვები უცბათ **აჩალავს**

ყველაფერს“. **ყა-ჩალ-ავ-ებ-ს** ნიშნავს სიმინდის ნათესის მოუვლელად დატოვებას.

კავი (მიწის გასაფხვიერებელი ძველებური იარაღი) → **აკავებს** — 1. მიწის კავით მოხვნა. „რბილ მიწებს კავი ადვილათ **აკავებს**“; 2. ვინმეს ან რამეს შეკავება. „ჯებირი ფრონეს ვერ **აკავებს**“.

ყველი → **ყველ-დ-ება** — ყველად ქცევა. „კარქი ღვლით რძე უცბათ **ყველდება**“.

იღლია (ჩაღრმავება, ფოსო მკლავის ტანთან შეერთების ადგილას; შდრ. ქველ) → **ა-იღლი-ავ-ებ-ს** — იღლიის ქვეშ ამოიღებს. „**აიღლიავენს** იმდენს, რო სიარული უჭირს“. იმავე მნიშვნელობით დასტურდება **და-ა-ღლი-ავ-ებ-ს** (← ღლია) ფორმაც. „**დააღლიავენს** ფიჩხს და მეზობელთან გაარბენინებს“.

სილა (გაშლილი ხელის ლოყაში გარტყმა) → **ა-სილ-ავ-ებ-ს** — ჭურჭლის პირამდე გავსება. „ფქვილს ვედროში ფომფლოდ **ასილავენს**“. სახელისა და ზმნის სემანტიკური მნიშვნელობა ერთმანეთისაგან განსხვავებულია.

ხევი → **ა-ხევე-ებ-ს** — წყალს დაუწყვეტავს, დაუშრობს, ხევად უქცევს. „ისე ჩუმათ ახევებს, ვერ დავიჭირე ზედ“.

ბაზო (ბოსტნის კვლებს შორის ადგილი) → **და-ა-ბაზო-ებ-ს** ო ბოსტნის კვლებს შორის ადგილის გამოყოფა, გაკეთება.

ჭაჭა (1. ყურძნის გამოწურვის შემდეგ დარჩენილი მონარჩენი; 2. სხეულის ნაწილი) → **და-ა-ჭაჭ-ავ-ებ-ს** — 1. ჭაჭას წყალს დაასხამს წყალნარევი ღვინის გასაკეთებლად. „ჭაჭას საწნახელშივე **დავაჭაჭავენ** და ავადუღებ“; 2. ზურგში მაგრად სცემს, ჭაჭებზე რამეს დაკრავს. „ისე **დააჭაჭავა**, რო წელში ვეღარ გაიმართა“.

2. ზმნის ფუძედ გამოყენებულ ფუძეგაორკეცებულ სახელებს დაერთვის ზმნური აფიქსები. მაგალითად: **კინკილა** (ერთი, ერთადერთი; შდრ. ქველ) → **და-კინკილ-ებ-ს** — მარტოდმარტო დადის. „დაიჭერს ჩხირებს და **დაკინკილებს** მეზობლებში“.

ძანძახი (დიდი წვიმებით მიწის ატალახება) → **აძანძახდება** — ატალახდება. „დაიწყება წვიმები და ყველაფერი **აძანძახდება**“.

ბაქიბუქი (კვენა, ტრაბახი) → **ბაქიბუქ-ობ-ს** — ტრაბახობს „ეგ ისე **ბაქიბუქობს**, კარგად არ წაიყვანს საქმესა“.

3. ზმნის ფუძედ გამოყენებულია სახელისაგან ნაწარმოები მიმღეობა ან საწყისი. მაგალითად: **კალთა** (კაბის, წინსაფრის ზედა ნაწილი; შდრ. ქველ) → **აკალთ-ავ-ება** (საწყ.) → 1. **აიკალთავენს** —

რალაციის ჩაყრის მიზნით კაბის, წინსაფრის ზედა ნაწილის აწვევა; 2. **ა-ა-კალთავებს** — გაბნეულ მარცვლეულს, ხილს ერთად შეაგროვებს.

ჯონჯოლი → **მი-ჯონჯლი-ილი-ი** (მიმღ.) → **მიჯონჯლილია** — ბევრი ნაყოფი ასხია. „ისეთი ჯიშები შემოვიდა კიტრის, რო **მიჯონჯლილია** ერთმანეთზე“.

ხირა (შარი) → **ხირა-ობ-ა** (ახირება) → **ხირა-ობ-ს** (ვილაცას შარს დებს ჩხუბის დაწყების მიზნით). „ეგ ისე **ხირაობს**, ცემას გამოკრავს“.

4. ზმნისწინები გამოიყენება განსხვავებული სემანტიკური ჯგუფების საწარმოებლად. მაგალითად: **გული** → 1. **გა-ი-გულ-ებ-ს** — ოჯახის წევრის სხვაგან გაგზავნის და რაც უნდა, იმას გააკეთებს. „**გა-ი-გულ-ებ-ს** ქმარს და თვითონ აღმა-დაღმა დაჭენაობს“; 2. **და-ი-გულ-ებ-ს** — რაიმეს სათავისოდ გამოიყენება. „ფულ თუ **დაი-გულ-ებ-ს**, არ მოისვენებს, სანამ არ გამოჰამს“.

ცხავი (ცხრილის მსგავსი ჭურჭელი) → 1 **წა-ა-ცხ-ავ-ებ-ს** — ცხავით მარცვლეულს მინარევებისაგან გაასუფთავებს. „პატარაა, მაგრამ ისე **წა-ა-ცხავებს** პურს ქეფჩოს, რო ვერავინ აჯობებს“; 2. **და-ა-ცხავებს** — დახვრეტს რალაცას. „ომის დროს გზის მხარეს ყველა სახლი **და-ა-ცხავებს**“.

5. ზმნის ფუძედ გამოიყენებული სახელთა ფონეტიკური ვარინტები, ერთმანეთის პარალელურად იხმარება ტერიტორიულად მოსაზღვრე სოფლებში. მაგალითად, სოფლებში ბრეთსა და წვერში **ბრუ-ხი** ნიშნავს უკმეხ, უკმაყოფილო აღამიანს. მისგან ნაწარმოებია ზმნა — **აებრუნება** (უკმაყოფილო გახდება, გაუჯავრდება). „დედამთილს რო **აებრუნება**, მერე არავინ აღარ უნდა“. მეზობელ სოფლებში დირბში, ტახტისძირსა და დვანში იგივე მნიშვნელობით დასტურდება: **მრუხი** → **აემრუხება**. „ქმარს **აემრუხება** და სამშობლოში (მშობლების სახლში) გაიქცევა“.

6. ნასახლარი ზმნებს შენარჩუნებული აქვთ საყრდენი სახელის მნიშვნელობა. მაგალითად, **ხილი** (მწერი) → **და-ხილი-ავ-ს** — ხილის მიერ ხორცეულზე კვერცხების დაყრა. „ზაფხულში თავლია არაფერი დაიტოვება, **ხილი** მაშინვე **დახსილავს**“.

ფთა (←**ფრთა**) → **და-ფთიან-დ-ება** — ფრთიანი გახდება. „ეს წიწილები ორ-სამ კვირაში **დაფთიანდენ**“.

7. ნასახლარი ზმნისა და საყდენი სახელის სემანტიკა ერთმანეთისაგან განსხვავებულია. მაგალითად, **კოჭი** (ადამიანის ჩონჩხის ერთ-ერთი ძვალი, ტერფისა და წვივის შემაერთებელი; ქმნის სა-

ხსარს; შღრ. ქეგლ) → **დაკოჭაობს** — ნელ-ნელა დადის. „ეგ ისე **დაკოჭაობს**, როდის მივა სახლში“.

ბიჭი → **გა-ბიჭ-დ-ება** — აყვავებული ოხრახუმი, წიწმატი გაუხეშდება. „წიწმატი ისე **გამიბიჭდა**, ხეირიანად ვერც კი მოვასწარით ჭამა“.

თ ა მ ა რ ლ ო მ თ ა ძ ე

(ქუთაისი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ანთროპონიმთა ბრუნებისათვის ქვემოიმერულში

ანთროპონიმთა ბრუნების თვალსაზრისით საინტერესო სურათს გვაძლევს ქვემოიმერული (ვანი, ხონი, ტყიბული, თერჯოლა, ბაღდათი, სამტრედია, წყალტუბო და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი ცენტრი — ქუთაისი) მეტყველება.

-ი ზე დასრულებულ ხმოვანფუძიანი და თანხმოვანფუძიანი ანთროპონიმები ყოველთვის იჩენდნენ თავისებურებებს. მაგალითად, მ. შანიძე მიუთითებს, რომ -ი ხმოვანფუძიანი სახელების თანხმოვანფუძიანად ქცევა დამახასიათებელი იყო სალიტერატურო ქართულისთვისაც. თუ -ი-ს წინ უძღოდა ხმოვნის მომდევნო სონორი თანხმოვანი (-ლ, რ, მ, ნ), მაშინ -ი ხმოვანფუძიანი სახელი თანხმოვანფუძიანად შეიძლებოდა ქცეულიყო. სხვა შემთხვევაში კი, სახელდობრ ხმოვნის მომდევნო არასონორი თანხმოვნის შემდეგ (აკაკი, ამბროსი), ან თანხმოვნის მომდევნო თანხმოვნის შემდეგ (ალექსი), საკუთარი სახელი ფუძისეულ -ი-ს ინარჩუნებდა (მ. შანიძე, 1969, 132).

ქვემოიმერულში ანთროპონიმთა ბრუნებისას შეიმჩნევა თანხმოვანფუძიან და ხმოვანფუძიან სახელთა გათანაბრების ორგვარი ტენდენცია. პირველი: თანხმოვანფუძიანი პირის სახელის ხმოვანფუძიანად ქცევა (ვახტანგი, ნოდარი, ეთერი -ი გაიგივებულია ფუძისეულად). აღსანიშნავია, რომ -ი ხმოვანფუძიანი სახელების თანხმოვანფუძიანად ქცევა, თითქმის არ ხდება და მეორე კინობითობის -ია სუფიქსის დართვით როგორც თანხმოვანფუძიან, ისე ხმოვანფუძიან სახელებზე, სადაც აღნიშნულ სუფიქსს კინობითობის ფუნქცია უმეტეს შემთხვევაში დაკარგული აქვს (ნოდარია, ეთერია, გიორგია, ლაშაია). ამავე დროს -ია სუფიქსის დართვისას გასათვალისწინებელია

მარცვალთა რაოდენობა (თამაზია, მაგრამ არა ელისაბედია) და სოციალური ფაქტორები.

შედარებით იშვიათად გვხვდება ანთროპონიმებთან ია-ს ფონეტიკური ნაირსახეობა -იე (მამუკიეს ბოგშია), ამავე ფუნქციით დასტურდება -ია ფუძიან სახელებთან -ელ (გოგელა, ნათიელა). -ელ გვხვდება აგრეთვე -იკ სუფიქსიან სახელებთანაც, მაგრამ მას აქ აშკარად კნინობითობის ფუნქცია აქვს (ნინიკელა), შედარებით იშვიათად დასტურდება -ა (ლევანა, თემურა..).

განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს ქუთაისურში, თუმცა წინა წლებთან შედარებით აქაც დიალექტური ფორმები უფრო ჭარბობს.

მ ა ი ა მ ა დ უ ა შ ვ ი ლ ი

(თბილისი. ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი)

სახელთა ორმაგი მრავლობითის ფორმები თუშურში

ჩვენი მოხსენების მიზანია სახელთა ე. წ. ორმაგი მრავლობითის ფორმების ანალიზი თუშურ კილოში და **ებ-თ/ებ-თა** სუფიქსთა დისტრიბუციაზე, მათი გამოვლენის შემთხვევებსა და შემაპირობებელ ფაქტორებზე მსჯელობა.

როგორც ცნობილია, თუშურში ებიან და ნართანიან მრავლობითებთან ერთად გვხვდება ორმაგი მრავლობითის ფორმები მოთხრობით ბრუნვაში დასმულ სახელთა სიმრავლის გამოსახატავად, მაგ.: **ყაჩაღ-ებ-თ** მოკლეს, ცხვარი **ლეკ-ებ-თა** გარეკეს... (თ. უთურგაიძე). მსგავსი ფორმები ჩვენც ჩავიწერეთ 2011 წლის ზაფხულში თუშეთში სამეცნიერო-დიალექტოლოგიური ექსპედიციისას. თუმცა, ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიქცია **ებ-თ(ა)** რთული სუფიქსით ნაწარმოებმა რამდენიმე ისეთმა ფორმამ, რომლებიც მიცემით ბრუნვაში დასმული სახელის სიმრავლეს ასახავს. მაგ: სასმელ მთარვ **გოგო-ებ-თ**; შეხედა **მთებ-თა-ვ**; ეტყვის **კაც-ებ-თა-დ ქალ-ებ-თ**. ჩვენ შევისწავლეთ თუშური კილოს შესახებ არსებული გამოკვლევები, ტექსტები, დიალექტური კორპუსის მასალა და მსგავსი შემთხვევები ვერ დავაფიქსირეთ.

ამდენად, როგორც ჩანს, თანამედროვე თუშურში ადგილი აქვს მოდელის გაფართოებისა და საშუალო ქართულის წარმოების ტიპთან მიახლოების ტენდენციას. იმდენად, რამდენადაც დიალექტში დამოუკიდებლად გვხვდება როგორც ებიანი, ისე ნართანიანი მრავლობითის ფორმები, **თ(ა)** სუფიქსი **ებ-**ის გვერდით მოთხრობითი ბრუნვის გამოხატვასთან ერთად ითავსებს მიცემითი ბრუნვის გამოხატვის ფუნქციასაც. მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვებში დასმულ სახელთა სიმრავლის ორმაგი მრავლობითის ფორმით გამოხატვას პარალელები მოეძებნება რამდენიმე სხვა დიალექტშიც (რაჭული დიალექტის გლოლური კილოკავი, ტაოური...), რაზეც ვისაუბრებთ მოხსენებაში. ვფიქრობთ, თუშურში შენიშნული ტენდენცია გარკვეული პროგნოზის გაკეთების საშუალებასაც გვაძლევს.

მ ა ნ ა ნ ა მ ი ქ ა ძ ე

(ქუთაისი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

იმერიზმთა ადგილისათვის რეზო მიშველაძის შემოქმედებაში

1. რ. მიშველაძის ნაწარმოებები იმერული დიალექტით შეზავებული მსუბუქი ქართულითაა დაწერილი, ამიტომ მის შემოქმედებაში ხშირად გვხვდება იმერული კილოსათვის დამახასიათებელი ლექსიკა, ქვემდებარესა და შემასმენელს შორის რიცხვში შეუთანხმებლობის მაგალითები:

„გადაშენდი იქით-მეთქი ერთი ორჯერ დაუკრაჭუნე კბილები, მაგრამ რაც უფრო მოვიყვანე გული, **დაიფხრიწა** სიცილით **ბიჭები** და მეც გავჩერდი ბოლოს ("კაცნი").

პირველად რომ დაარტყა მიწისძვრამ, შაქროიას **ბოგშები** გარეთ **გამოვარდნილა** ("კაცნი").

2. დიალექტური ლექსიკა ენის სიმდიდრეა, რომელშიც გამოიყოფა ორი ფენა. პირველს წარმოადგენს საერთო ქართული სიტყვები, აქვე აერთიანებენ იმ სიტყვებსაც, რომლებიც ადრე საერთო ქართველურს მიეკუთვნებოდა, ხოლო დღეს რომელიმე დიალექტმა შემოინახა.

მეორე ფენას წარმოადგენს დიალექტური ნასესხობანი. ასეთებია მაგ. თურქულიდან ნასესხები სიტყვები აჭარულსა და გურულში, შეიძლება გამოვყოთ მესამე ფენაც: მხოლოდ ამა თუ იმ დიალექტისათვის დამახასიათებელი ლექსიკა.

საერთო ქართველურთან მიმართებაში კი დიალექტური ლექსიკა შეიძლება პირობითად ორ ნაწილად გავყოთ:

1. დუბლეტურ დიალექტური, რომელსაც ეკვივალენტი მოეპოვება მხოლოდ ქართულ სალიტერატურო ენაში.

2. შეუნაცვლებადი სიტყვები, რომელსაც ქართულ სალიტერატურო ენაში ეკვივალენტი არ მოეპოვება.

რ. მიშველაძის სამწერლობო ენაში უხვად გვხვდება იმერიზმები. ავტორი დიალექტურ მასალას პერსონაჟთა ტიპიზაციისათვის და ადგილობრივი კოლორიტის შესაქმნელად იყენებს. დიალექტური ლექსიკა ძირითადად ქვემოიმერულია. ეს ის სიტყვებია, რომლებიც აღნიშნავენ: მცენარეებს, საყოფაცხოვრებო ნივთებს, სამეურნეო ხასიათის ხელსაწყო-იარაღებს და ა.შ.

მწერალს გააჩნია ინდივიდუალური, თავისებური ლექსიკა. წინამდებარე მოხსენებაში რ. მიშველაძის თხზულებების ლექსიკიდან ცალკე გამოვყავით სამეურნეო ხასიათის ლექსიკა;

საცხოვრებელი გარემოსათვის დამახასიათებელი ლექსიკა; მცენარეების აღმნიშვნელი სახელები;

ასევე ყურადღება მივაქციეთ ზმნების ერთ ჯგუფს: ამოგვრეგვებს, უნდება, შევაქუჩებ, მივდის, შეიხვილიფა, მოლლიავდა, ამწაპნა...

მ ა ყ ვ ა ლ ა მ ი ქ ე ლ ა ძ ე

(თელავი. ი. გოგებშილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ენის ისტორიული მეხსიერება (წოვათუშურ ენაში დაცული ხევსურული ლექსიკის მიხედვით)

„ენები კაცობრიობის არსებობის გონითი ფორმებია“, — ბრძანა ცნობილმა ლინგვისტმა ვილჰელმ ფონ ჰუმპოლდტმა და მოახდინა ე. წ. „დიდი“ და „პატარა“ ენების საბოლოო და უპირობო იდენტიფიკაცია. ამაზე დაყრდნობით შეიძლება განვაცხადოთ, რომ, თუ რომე-

ლიმე ენაზე ორი კაცი მაინც ელაპარაკება ერთმანეთს, ეს ენა ფუნქციონირებს და თავის შინაგან ღირსებას იცავს. ასეთი ენები, როგორც ცნობილია, უბრალოდ „საფრთხის ქვეშ მყოფის“ სტატუსით მოიხსენებიან.

ასეთი სტატუსით სარგებლობს დღეს წოვათუშური ენა, რომელიც ამჯერად საქართველოს რესპუბლიკის ერთადერთ სოფელში — ზემო ალვანში ფუნქციონირებს და შიდა საოჯახო ურთიერთობის სფეროს არის შემორჩენილი (იქაც მხოლოდ ნაწილობრივ). მიუხედავად იმისა, რომ მდიდარი და დახვეწილი მორფოლოგიური სტრუქტურა ამ ენის ოდინდელ მაღალ სოციალურ დატვირთვაზე მეტყველებს, ისტორიულ წყაროებში მის შესახებ XVIII საუკუნემდე არაფერი ისმის. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ის გარემოება, რომ წოვათუშში ხალხის თავდაპირველ საცხოვრისს აკად. ივ. ჯავახიშვილი მდინარე ტიგროსის სათავეებში ეძებს (ჯავახიშვილი, 1937).

აღნიშნული თვალსაზრისით მნიშვნელოვან დახმარებას გვიწევს თვითონ ენის ისტორიული მეხსიერება. ამჯერად მხედველობაში გვაქვს ის დიდი რაოდენობის ნასესხები ლექსიკა წოვათუშური ენისა, რომლის წყარო მისი ყოფილი მეზობელი — ხევსურული დიალექტია.

საკითხი შევისწავლეთ პროფ. ალ. ჭინჭარაულის მიერ ამ დიალექტისათვის შედგენილი ლექსიკონით (ჭინჭარაული, 2005). აღნიშნულ სიტყვარში უხვად აღმოჩნდა ხევსურული დიალექტისა და წოვათუშური ენის ხანგრძლივი მეზობლობისა და საურთიერთო ინტერფერენციის ამსახველი მასალა: გვაქვს, ერთი მხრივ, წოვათუშური ლექსიკური ნასესხობანი ხევსურულ დიალექტში, მეორე მხრივ კი — საკუთრივ ხევსურული ლექსიკა, რომლემაც ადგილი დაიმკვიდრა წოვათუშურ ენაში.

ლექსიკონის მიხედვით აღვრიცხეთ ხევსურულ ნასესხობათა ასამდე ერთეული. ყველა ნასესხები სიტყვა დაექვემდებარა იმ ფონეტიკურ-ფონოლოგიურ გარდაქმნებს, რაც შემდგომ სალიტერატურო ქართულიდან ნასესხებმა ლექსიკამ განიცადა წოვათუშურში. აღნიშნული საკითხი მონოგრაფიულად გვაქვს შესწავლილი სალიტერატურო ქართულთან მიმართებით (მიქელაძე, 2008), რის გამოც აქ მხოლოდ გარდამქნელ პროცესთა ჩამოთვლით დავკმაყოფილდებით. გვაქვს:

აუსლაუტის ხმოვნის მოკვეცვა, ნაზალიზაცია, რედუქცია, ეპენტეზისი, თანხმოვანთამყარი ხმოვნის ჩართვა, ანლაუტის ხმოვნის მაგარი შემართვა და სხვა.

ნასესხებია სხვადასხვა მეტყველების ნაწილი: სახელები, ზმნა და თვით შორისდებულობა. ნასესხობათა რაოდენობრივ შეფარდებაში თვალსაჩინოდ იკვეთება მსესხებელი ენის მეტყველების ნაწილთა განსხვავებული ლიაობა სესხების პროცესისადმი. ამ მხრივ არსებითი სახელი ბევრად უსწრებს ყველა სხვა მეტყველების ნაწილს.

დავასახელებთ ნასესხობათა მაგალითებს:

წოვათუშ. ამნათ (← ხევს. ამანათი) — სხვა სოფელს შეკედლებული

აწსებ (← ადვსება) — აღდგომა

ფალაზ (← ფლასი) — ჭრელი ფარდავი

მიჭრიტა^ნ (← მიჭვრიტანა) — სარკე

ჰერ (← ერ) — იერი

ნაკარტალ (← ნაკერტალი) — ძონძები

ჩქერბადო (← იქჩერებს) — გაიმეტებს

ჭირდიდბადო (← აჭირდიდებს) — აზვიადებს

დანდლბადო (← ადანდლებს) — ძაფით ამაგრებს

ჰადადა (← ადადა) — წყენის შორისდ...

ნასესხობა, ცხადია, მეტი იქნებოდა, რომ არა წოვათუშურის სალიტერატურო ქართულთან შემდგომი ურთიერთობა და ორენოვნების მაღალი საფეხურისათვის დამახასიათებელი „ძველი შეცდომების“ გასწორების ტენდენცია. ნასესხობათა ამგვარი ინტენსივობა შეუძლებელია წოვათუშებისა და ხევსურების მხოლოდ ერთი ან ორი საუკუნის მეზობლობას მოჰყოლოდა. თუ ძველი მთის ურთიერთობის შენელებულ მასშტაბებსაც გავიხსენებთ, ნათელი გახდება, რომ საქმე გვაქვს სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხთა მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების შედეგებთან.

ენის მესხიერება ამჯერად საფუძველს აცლის რიგი მკვლევარის დაუსაბუთებელ შეხედულებას თუშეთში წოვათუშთა გვიანდელი განსახლების შესახებ, სამომავლოდ დასაზუსტებელია და შესასწავლი, კიდევ რამდენი სანდო ისტორიული ცნობა დევს წოვათუშური ენის ლექსიკურსა თუ გრამატიკულ მესხიერებაში.

ნიკოლოზ ოთინაშვილი

(გორის სასწავლო უნივერსიტეტი)

ეტიმოლოგიური შენიშვნები ფრონეს ხეობიდან

ზემო ქართლის ერთ-ერთი მხარე, ფრონეს ხეობა, რამდენიმე ისტორიულ დოკუმენტშია დაფიქსირებული. მათ შორის ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების ცნობილ „აღწერებში“. ისინი დიდმნიშვნელოვანი წყაროებია მხარის ენობრივი მასალის შესასწავლად. ასეთივე როლი ენიჭებათ 1715 წლის „რუისის საეპისკოპოსოს დავთარს“ და მეთვრამეტე საუკუნეში შედგენილ ზემო ქართლის სადროშოს ნუსხას, რომელიც, მართალია, ფრაგმენტულადაა შემორჩენილი, მაგრამ მასში მაინც კარგად ჩანს ფრონეს ხეობის სოფლების იმდროინდელი სახელები, მცხოვრებთა გვარ-სახელები, სასულიერო პირები, თითოეულ კომლიდან გამოსულ მოლაშქრეთა რაოდენობა, ამა თუ იმ იარაღის ჩვენებით და სხვ.

ხეობის სოფლები ორივე დავთარში მოცემულია სხვადასხვა მორფოლოგიური ფორმით, ფიქსირებულია ასობით ანთროპონიმია, მათი წარმოება მრავალფეროვანია.

სოფლების ჩამოთვლისას ყველა შემთხვევაში შენარჩუნებული აქვთ -ს ელემენტი: სოფელ არამგამას, ხუნდისუბანს, თოღვას, წიფლითს: ღარისთავს, სურნისს, წირეთს, წალოვანს...

გვარსახელების ჩამოთვლისას -შვილზე დაბოლოებულ გვარებში სართი „შვილი“ ხშირ შემთხვევაში გათიშულია სახელისაგან: ნინუას-შვილი, კბილას-შვილი, მჭედლის-შვილი, მესხი-შვილი, ნანიტას-შვილი და სხვა. შერწყმულადაა დაწერილი -ძე სუფიქსიანი გვარები: კოკაი-ძე, ჯოხაძე, იანტბელიძე, კუპრაძე...

განსხვავების მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში და შემდგომ ზუსტდება -შვილი და -ძე სართიანი გვარების ორთოგრაფია. აქ ალბათ ერთ-ერთი მიზეზი არის ნათესაობითი ბრუნვის ქონა-არ ქონა, როგორც ტოპონიმებში ისე ანთროპონიმებში. ეს არის გარდამავალი საფეხური, რომელმაც ცვლილება განიცადა.

ნ ა თ ე ლ ა ფ ა რ ტ ე ნ ა ძ ე
(ბათუმი. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ქვემდებარის ერგატიული კონსტრუქცია სამხრულ მეტყველებაში

სამხრულ მეტყველებაში, დასავლური დიალექტების მსგავსად, გარდაუვალი ზმნა მეორე სერიაში ქვემდებარეს მართავს როგორც მოთხრობითში, ისე სახელობითში. მაგალითად,

**ჰასანამ აქ დასახლდა; ზოგმა აქ დაჩდენ, ზოგმა კი აქ მოვდენ;
მოედინმა დაქორწილდა...**

მაგრამ, **გელინი მოკტა**, გელინი მეგრე ეს მეყვანენ; **კაცი მოვდა** წვერებიანი, **ხოჯა მოვდა** წვერებიანი; ჩემი **ქმარი მოვდეს...**

გარდაუვალ ზმნასთან II სერიაში ერგატიული კონსტრუქცია ჩვეულებრივ მაშინ გვაქვს, როდესაც ზმნა აქტიურ მოქმედებას გამოხატავს.

დასავლური დიალექტებისაგან განსხვავებით, სამხრულში უფრო ხშირი და გამოკვეთილია ქვემდებარის ერგატიული კონსტრუქცია I სერიის აწმყოსა და მყოფადის წრის ფორმებთან როგორც გარდაუვალ, ისე გარდამავალ ზმნებთან. განურჩევლად იმისა, ქვემდებარე ნაცვალსახელითაა გადმოცემული თუ არსებითით. კერძოდ:

ა) **აწმყო**: გუშინ **ბიჭებმა ლევდენ; ზოგიერთებმა იჯებთან; ჩემმა ბიჭმა იქ იჯება, საქმობს**; ჩემი **ბიჭმა იქ იარება; მულმა მულმულობს, რძალმა კუნკულობს; კაცებმა მასაქმებდენ; გოგომ იჯება** ყველაფერი; ამა მის **ბაბომ ჯერ არ მაძლევდა**; ხანდახან **ღარჭებმა იჯებენ**, მარ ავერ დეილაპარიკებდენ; **რუსებმა ჭამებენ** ღორი ხორცი...

ბ) **მყოფადი**: **ბიჭმა იტყვის; ბაღნებმაც დეიწავლებენ**; აქ **ღარჭებმა შეიმცრევენ, ჭამენ; ბაღნებმა წეშეკინდლებიან; ბიჭებმა გოგვებს გამუუთქმევდენ...**

როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ქვემდებარე — შემასმენლის ამგვარი კონსტრუქცია ჰოროხის ხეობის სოფლების მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი, რასაც მკვლევარები ჰანურისა და მეგრულის გავლენას მიაწერენ. ჩვენი შეხედულებით კი აღნიშნული კონსტრუქცია მეტად პროდუქტიული და ბუნებრივია საკუთრივ სამხრულისთვის.

იცის' შემასმენელთან კი ქვემდებარე ნაცვლად მოთხრობითი ბრუნვისა, უმეტესად სახელობითში გვხვდება: **ბერები** კარგა **იციან**; თელი **სოფელი** თურქია არ **იცის**; **ხოჯა იცის** გურჯული...

მ ა მ ი ა ფ ა ლ ა ვ ა , ნ უ გ ზ ა რ მ გ ე ლ ა ძ ე
(ბათუმი. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ხინოს ხეობის ტოპონიმია

ხინოს ხეობა საყურადღებოა არა მარტო კულტურულ-ისტორიულად, რამდენადაც კუთხის წარსულის ყველა ეტაპზე იგი ასრულებდა განსაკუთრებულ როლს პოლიტიკურ და საეკლესიო ცხოვრებაში, არამედ ლინგვისტური თვალსაზრისითაც. აქ თავს იყრიდა სავაჭრო და საქარაგენ გზები, ასევე, გადიოდა სამხრეთ საქართველოდან ერთ-ერთი გზა შავ ზღვაზე; ხინოს ხეობაში ერთმანეთს ხვდებოდა ადგილობრივ მკვიდრთა (ქობულეთური) და ზემოაჭარული, ხოლო ადრე პერიოდში ზანური მეტყველებაც. გეოგრაფიული მდებარეობით ხეობა ჩაკეტილია, ეს ფაქტორი კი განაპირობებდა კულტურის ელემენტების კონსერვაციას, რაც მას მეცნიერულად კიდევ უფრო საინტერესოს ხდის.

ხეობა გამოირჩევა ტოპონიმითაც. დასტურდება ათეულობით მიკრო და მაკრო ტოპონიმი, რომლებიც ყურადღებას იქცევს შედგენილობითა და ეტიმოლოგიით. წარმოების თვალსაზრისით საკვლევი რეგიონის ტოპონიმია იმეორებს ქართველური ტოპონიმის ზოგად მოდელს, თუმცა შეინიშნება ზოგიერთი ლოკალური თავისებურება.

ხინოს ხეობაში შეიძლება გამოვყოთ სხვადასხვა დანიშნულების გეოგრაფიული სახელები,

ა. ანთროპონიმული: **კობალაური, ვარჯანაული** (შდრ. **ვარჯანი-სი**), **ქათამური...**

ბ. სატომო: **მესხიქედი...**

გ. მცენარეული საფარის აღმნიშვნელი: **ცხემვანი, ხეკნარა, კორონჩხამური // *კორომჩხამური, ონტუმი/*ონტომი...**

დ. სამეურნეო: **ზერაბოსელი//ზარაბოსელი, ჭალა, ნამქედური, ნაბელღავი, ბოსტანა...**

ე. საკრალური: **საწირავი, ელიას ციხე, სახტარი, ჯვარი, სალოცავი ქედი...**

ვ. ცალკე ჯგუფად უნდა გამოიყოს ჰიდრონიმები, რომლებიც საინტერესოა როგორც შედგენილობით, ისე სემანტიკით: **ქვათეთრად, ქოთურთა** (მდინარის სათავე), **ორპირი** (დეღე), **თავგა დეღე, ჰქონტე** (პატარა წვიმის დროს მოდის), **ლაფრანი** (ცივი წყარო, „კიბილებს დატეხს“), **ტბიღეღე** (ზღვის ნაწყვეტი), **ხორათი, ცხორობგანის დეღე, ჰერული დეღე, ხელწულას დეღე** (გამოდის ბოსტანას ძირიდან), **ნაოპარი** [(*<ნაღომარი?) ადგილია], **ცხობგანის დეღე, კალვას დეღე, ძენისურის დეღე, საგებავის დეღე...**

ამჯერად შევეხებით მხოლოდ **ხინო**'ს ეტიმოლოგიას. აღნიშნული ფუძე (**ხინო**) ფორმითა და სემანტიკით შეიძლება დავუკავშიროთ, ერთის მხრივ, კავკასიურ, კერძოდ ვაინახურ, ენებს, სადაც მისი თავდაპირველი მნიშვნელობაა **წყალი**, მეორე მხრივ, წინააზიურ სამყაროს — ურარტულს, სადაც აღნიშნავს **შთამომავლობას, ნაყოფიერებას**.

ნ ა თ ი ა ფ ო ნ ი ა ვ ა

(თბილისი. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

გულითან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები და იდიომატური გამოთქმები მეგრულ-ლაზურში

გული ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ლექსიკური ერთეულია ფრაზეოლოგიზმებში მონაწილეობის თვალსაზრისით მეგრულ-ლაზურში. როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, გული არის აზროვნებითი პროცესების ცენტრი, სიცოცხლის მატარებელი. თ. სახოკიას დაკვირვებით, გული ჩვენს ხალხს მიაჩნია ჩვენი ნერვების შესაკრებელ ორგანოდ, რომელზეც უშუალოდ მოქმედებს ყველა ფსიქიკური განცდა: სიყვარული, სიხარული, სიმამაცე, სიძულვილი, მწუხარება, დარდ-ნაღველი.

ქართულის მსგავსად, მეგრულ-ლაზურში ზემოთ აღნიშნული დადებითი და უარყოფითი გრძნობა-ემოციები გულს უკავშირდება. სტატისტიკით დადგენილია, რომ ზოგადად უარყოფითი სჭარბობს დად-

ბითს. ეს არის დადებით-უარყოფით ემოციათა **ასიმეტრიულობა** ენაში.

გულთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები მეგრულში ჩვენამდე განიხილეს ც. ჯანჭღავამ, მ. ლომიამ და რ. გერსამიამ. ჩვენ მეგრულთან ერთად წარმოვადგენთ ლაზური ფრაზეოლოგიზმების ანალიზსაც. მეგრულში დადასტურდა 225 ერთეული, ლაზურში — 170. მეგრულის 35 და ლაზურის 100 ფრაზეოლოგიზმი ჩვენ მოვიპოვეთ, დანარჩენები ამოვიწერეთ ლექსიკონებიდან.

გულთან დაკავშირებულმა ფრაზეოლოგიზმებმა და იდიომატურმა გამოთქმებმა მეგრულ-ლაზურში შეიძლება გამოხატოს:

სიყვარული: მეგრ. **გურს ინოხუნა**, ლაზ. **გუმს დოლოხუნუ** „გულში ჯდომა (ვიღაცის)“;

სიხარული: **გური განარებული აფუ**, ლაზ. **გუმ ხელებერი უღუნ** „განარებულია“ (ზედმიწ. „გული განარებული აქვს“);

მწუხარება: მეგრ. **გურიშ ნგარა**, ლაზ. **გუმშ მგამნიობგარუ** „გულის ტირილი“;

ძლიერი განცდა: მეგრ. **გურშა გეშქუმალა**, ლაზ. **გურიშ გეჩამუ** „რამის ძლიერი განცდა“ (ზედმიწ. გულზე დარტყმა“);

მონატრება: **გურიშ ნატრი/ნანატრი**, ლაზ. **გუმს გონჭელუში** „გულით სანატრელი“;

კმაყოფილება: მეგრ. **გურიშ ეფშაფა**, ლაზ. **გუმშ ეფფუ** „დაკმაყოფილება“ (ზედმიწ. გულის ავსება);

უკმაყოფილების შეგრძნება: მეგრ. **გურს მორკუ**, ლაზ. **გუმს გე-მოკვათუნ/გემოკორდუ** „სურვილი ვერ შევისრულე“ (ზედმიწ. „გულს მაკლია“);

სიკეთე: მეგრ. **აღალ გურიში**, ლაზ. **კამ გუმში** „გულკეთილი, გულალალი“;

დარდი: მეგრ. **გურიშ დარდი**, ლაზ. **გუმშ დერდი** „გულის დარდი“;

მოწონება: მეგრ. **გურს ინოხანტუა**, ლაზ. **გუმს მოწონტინუ** „მოწონება“ (მეგრ. ზედმიწ. გულში ჩახატვა“);

იმედგაცრუება: მეგრ. **გურიშ გოტახუა**, ლაზ. **გუმშ ოტროხუ** „გულის აცრუება“ (ზედმიწ. „გულის გატეხა“);

შებრალება: მეგრ. **გურიშ მეჭუალა**, ლაზ. **გუმს მეჭუ** „შეცოდება, შებრალება“ (ზედმიწ. „გულის დაწვა“);

მობეზრება: მეგრ. **გურიშ ეკულა**, ლაზ. **გუმს ეშალაფუ** „გულის ამოსვლა (ყელში)“;

აღტაცება: მეგრ. **გურიშ ფურინუა**, ლაზ. **გურის ოფუთხინუ** „აღფრთოვანება“ (ზედმიწ. „გულის ფრენა“);

ტკივილი: მეგრ. **გურშა მეკათაფა**, ლაზ. **გურიშ მემალუ ჭვინა-ში** „გულამდე მისვლა (ტკივილისა)“;

შემართება, გამხნეება: მეგრ. **გურიშ გამანგარება**, ლაზ. **გუმს ოკაბეტანუ** „გულის გამაგრება, გაძლიერება“;

ძლიერი სურვილი: მეგრ. **გურს მომიწარწალუ** „გულს მოსწყურ-და“ II **გურით კორ(ი)ნება**, ლაზ. **გუმთენ მინონ** „გულით მინდა“;

შიში: მეგრ. **გურიშ ინოლაფა**, ლაზ. **გუმს დოლოლაფუ** „შეშინება“ (ზედმიწ. „გულის ჩავარდნა“);

წყენა: მეგრ. **გურს მიკობინუა**, ლაზ. **გუმს მეციგუ** „წყენა“ (ზედმიწ. „გულზე მოხვედრა, ჩარჭობა (ნემსივით)“);

გაზრდა: მეგრ. **გურიშ რდუალა**, ლაზ. **გურის ორდუ** „გულის ზრდა“ (საინტერესოა, რომ გულის ზრდა ადამიანის ზრდასთან ასოცირდება).

ნუგეში: მეგრ. **გურიშ მოქეჟაფა**, ლაზ. **გუმს ოჩორჩანუ** „ნუგე-შინი“ (ზედმიწ. გულის შემსუბუქება“);

ჯავრის ამოყრა: მეგრ. **გურიშ ჭორაფა**, ლაზ. **გუმ დოვოჯემ** „გულის ჭერება“;

გულის კარნახი: მეგრ. **გურიშ ათოჩამა**, ლაზ. **გუმშ ოთქვალუ** „მოგუნებება, გულის კარნახი“ (ზედმიწ. მეგრ. გულის რჩევა, ლაზ. გულის ნათქვამი“);

შიმშილი: მეგრ. **გურქ მემაწირწოლგ**, ლაზ. **გურის მემოწილუ** „მოშიება“ (ზედმიწ. გულის მოწურვა“);

ლაზურში დასტურდება კალკები თურქულიდან: გურის მელჰემი უსუმერს „ანუგემებს“, გურის სიხინთი მაცუ „გული შემიწუხდა“.

მეგრულ-ლაზურში, ისევე როგორც ქართულში, გული არის ორგანო, რომელსაც უკავშირდება: ფიზიოლოგიური, შემეცნებითი, აზროვნებითი, ფსიქოლოგიური, ემოციური შეგრძნებები. სხვადასხვა ბრუნვაში მდგარ ლექსემა **გულს** რამდენიმე ფუნქციურ ერთეულს ეკუთვნის და იმავე გრძნობა-ემოციის გამოსახატად. საკითხის უფრო სრულყოფილ ანალიზს მოხსენებაში წარმოვადგენთ.

ხ ა თ უ ნ ა ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი

(თბილისი. წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტი)

მრავალგზისობის გამოხატვა აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებში

1. აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებში მრავალგზისი მოქმედების გადმოსაცემად ნაშთის სახით ორგანული წარმოების I და II ხოლმეობითები შერჩენილია ქართულურში (ეყოფის), კახური დიალექტის ქიზიყურ კილოკავში (წამოიდის, დაჰკრის, განახვერდის, დაწერია).

უფრო იშვიათად გვხვდება ხოლმეობითის მწკრივები გარე და შიგნიკახურში (მოუხრიკნიან...), ფერეიდნულში (დაიცავიან...).

2. ქართულურში მრავალგზისობა ძირითადად გადმოიცემა ხოლმე / ხომე ნაწილაკების მეშვეობით. ნაწილაკდართული ფორმებიდან უპირატესობა „ხომე“ ნაწილაკს ენიჭება: გადმოვჩაქამთ ხოლმე; კახურში: იტყოდა ხომე.

არის შემთხვევები, როდესაც ქართული ენის ქიზიყურ კილოკავში მრავალგზისობის ორგანული წარმოების ფორმას დაერთვის „ხოლმე“ ნაწილაკი: მოკვდის ხოლმე, აიღებდის ხოლმე.

3. მრავალგზისობის გამოსახატავად გამოიყენება ყე/კე ნაწილაკები: კახურში (გვხვევიკე), ფერეიდნულში (ჰქონდაყე).

ინგილოურში მრავალგზისობა აგრეთვე გამოიხატება „ყ“ ნაწილაკდართული ფორმით: უღლევსყ.

ფერეიდნულში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც არქაულ ფორმას დაერთვის -ყე ნაწილაკი: ემუშავნისყე, ჰკითხისყე.

ზოგჯერ ერთ წინადადებაში ერთდროულად გამოიყენება მრავალგზისობის ორგანული წარმოება და -ყე ნაწილაკიანი ფორმაც: თითონაც ყეინის ორი დღისით ადგის და წავიდის, მიჰხედისყე უსთას და ამაღებს.

4. მრავალგზისობა გამოიხატება ზმნის გამეორებით: ქართულურსა (თიული **მოდიოდა** და **მოდიოდა** მარლითვინ აღზევანში, გუმბარში) და კახურში (მიდიან, მიდიან, ბოლოს იპოვეს).

5. მრავალგზისობა აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებში, სალიტერატურო ენის მსგავსად, შეიძლება გადმოიცეს

უწყვეტლის მწკრივის ფორმით: შევიდოდა ფარეში, **შაძკამდა** ცხვარსა და გამოვიდოდა.

ნ ა ტ ო შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი

(თბილისი. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

დალოცვისა და წყევლა-მუქარის გამომხატველი შერწყმული წინადადებები სვანურში

დალოცვისა და წყევლა-მუქარის გამომხატველ წინადადებათა სინტაქსურ ასპექტში განხილვას გარკვეული ინტერესი ახლავს, ვინაიდან ამ არქაულ ენობრივ ფორმულებში და ე. წ. გაქვავებულ გამოთქმებში ვლინდება მთელი რიგი ენობრივი თავისებურებები.

ფრაზეოლოგიაში განიხილავენ არა მარტო ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებს, გამონათქვამებსა თუ იდიომებს, არამედ დალოცვისა და წყევლა-მუქარის გამომხატველ ფორმულებს, ენაში გაქვავებულ მყარ შესიტყვებებსა (რომელთა მნიშვნელობა მხოლოდ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში ცოცხლდება) და ანდაზებს.

საკუთრივ ფრაზეოლოგიური შესიტყვებების შემცველი დალოცვისა და წყევლა-მუქარის გამომხატველ წინადადებებთან ერთად განხილული იქნება ზოგადად მთლიანობაში აღნიშნული სემანტიკის გამომხატველი ფორმულებიც. ეს საკითხი, სვანურის ყველა დიალექტის (მათ შორის ლახამულურისა და ჩოლურული მეტყველების) გავალისწინებით, დღემდე კვლევის ობიექტი არ ყოფილა.

სვანურში არსებული ფიქსირებული მასალისა და ჩვენ მიერ მოპოვებული ტექსტების მიხედვით თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული წინადადებები უხვად გვხვდება სვანურის ყველა დიალექტში.

გამოიყოფა შერწყმული წინადადებების შემდეგი ჯგუფები:

ერთგვარშემასმენლებიანი, ერთგვარქვემდებარეებიანი, ერთგვარპირდაპირდამატებიანი, ერთგვარირიბდამატებიანი, ერთგვარგანსაზღვრებიანი, ერთგვარუბრალოდამატებიანი, ერთგვარგარემოებიანი და ნარევი სახის შერწყმული წინადადებები.

მოსხენებაში განხილული იქნება აგრეთვე კავშირთა ის ჯგუფები, რომლებიც წარმოადგენენ ერთგვარ წევრთა შეერთების საშუალებას.

ე თ ე რ შ ე ნ გ ე ლ ი ა

(თბილისი. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

სიტყვაწარმოება მეგრულ-ლაზურში სამოსელთან დაკავშირებული ლექსიკის მიხედვით

სამოსელთან დაკავშირებული ლექსიკა მეგრულ-ლაზურში მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია. ამ სემანტიკურ ჯგუფში გამოვლინდა რვაასამდე ლექსიკური ერთეული, რომელიც დაჯგუფდა შემდეგი თემატური თანმიმდევრობით: 1) სამოსლის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინები; 2) სამოსლის სახეობები; 3) სამოსლის ნაწილები; 4) სამოსლის მოსართავები და მორთვა; 5) სამოსლის შესაკრავები; 6) ჩაცმა-დახურვის აღმნიშვნელი სიტყვები; 7) სამოსლის დაწყობა-დალაგებასთან დაკავშირებული სიტყვები; 8) სამოსლის საწარმოებელი მასალა; 9) რეწვის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები; 10) თავსაბურავი; 11) ფენსაცმელი, ფენსამოსი; 12) სამოსლის საკიდი, სათავსოები; 13) საგებელი; 14) რეწვისთვის გამოყენებული ხელსაწყოები.

აღნიშნულ სემანტიკურ ჯგუფში შემავალი ლექსიკური ერთეულები საინტერესოა სიტყვაწარმოების თვალსაზრისით. ძირეულ სიტყვებთან ერთად გამოიყოფა ნაწარმოები სიტყვები. გვაქვს ამგვარი წარმოება:

ოდენსუფიქსური: მეგრ. **-ენჯ:** მიკაქე-ენჯი „ჩასაცმელი“;

ბრეფიქსულ-სუფიქსური: მეგრ. **სა- -ო: სა-**კიღირ-**ო;** „სამკერდე; ჩასაცმლის სახეობა“;

ლაზ. **ო- -ე: ო-**ყალ-**ე** „საყელო“;

ბრუნვის ნიშნით წარმოება (წარმომქმნელი აფიქსი შეიძლება იყოს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი): მეგრ.-ლაზ. **-შ:** მეგრ. ჩე-**შ-ი** „კაცის პერანგი“; ლაზ. მო-ქუნ-**უ-შ-ი** „მოსასხამი“ (შეიძლება ფუძეში ბრუნვის ნიშანთან ერთად სხვა მაწარმოებლებიც იყოს წარმოდგენილი: მეგრ. **ო-ფეთა-შ-ე** „საჩეჩილი“, ლაზ.-ის ნიმუშია მოცემული მაგალითი);

ზმნისწინებით წარმოება: მეგრ. **გინა-** გინა-ქუნ-ალ-ი „მოსასხამი, მოსაცმელი“, ლაზ. **მოყა: მოყა-ქუნ-უ;**

თხზვა: აქ გამოიყოფა: ა) ფუძეგაორკეცებული სიტყვები: მეგრ. მუკო-ყვა-ყვა-ფა „ბეწვიანი, სქელი რამის ჩაცმა“; 2) სხვადასხვა ფუძის შეერთებით მიღებული სახელები: მეგრ. **გურ-ჯიბე** „უბის ჯიბე“ ლაზ. **ძიქვა-ჩოხა** „ჩოხა-ახალუხი“.

აფიქსები ფუნქციის მიხედვით მრავალგვარია.

ვაჟა შენგელია

(თბილისი. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

სუფიქსისეული ხმოვნის ფუძისეულ ხმოვანზე ასიმილაციური გავლენის შესახებ მეგრულში

ცნობილია, რომ მეგრულ-ლაზურში, ქართულისაგან განსხვავებით, ბრუნვის ნიშნის დართვა სახელის ფუძის კუმშვა-კვეცას ან სხვა ცვლილებას არ იწვევს; მრავლობითი რიცხვის ნიშნის დართვისას კი მეგრულში ფუძე ბოლოკიდურ **ა** ხმოვანს კარგავს, ლაზურში კი ამ შემთხვევაშიც ხმოვანი შენარჩუნებულია (არნ. ჩიქობავა).

განსხვავებული ვითარება გვაქვს ხმოვნით დაწყებული სიტყვა-წარმოებითი აფიქსის გამოყენების დროს, კერძოდ, მეგრულში **-ერე** || **-ერია** სუფიქსის სახელის ფუძესთან მიერთებისას ხდება ფუძისეული ხმოვნის ასიმილაცია სუფიქსისეულ **ე** ხმოვანთან (***ა — ე > ე — ე** და ***ი — ე > ე — ე**):

ბახვა „მსხვილი“ — ბეხვ-ერე || ბეხვ-ერია „მსხვილ-მხვილი; ბუთხუზა“

ბარდლა „ფართხუნა“ — ბერდლ-ელე || ბერდლ-ელაია „მოშვებული, მოფამფალეებული“

ქვათა „დაბალი, ტანმორჩილი“ — ქვეთ-ერე || ქვეთ-ერია „პატარა და კოხტა“

ძღვბა „დაბალი და ულამაზო“ — ძღვებ-ერე || ძღვებ-ერია „გამხდარი, გაფშეკილი“

ძგვბა „უმნო“ — ძგვებ-ერე || ძგვებ-ერია „გაბურძენილი“

ფაჩა „მხიარული“ — ფეჩ-ერე || ფეჩ-ერია „სახენათელი“

ქვაჩა „ქოჩორი“ — ქვეჩ-ერე || ქვეჩ-ერია „ქოჩორა, გაფურჩქნილი“

ანალოგიური ვითარება ქართულ ზეპირ მეტყველებასა და დიალექტებშიც შეინიშნება (ვილაცა — მრ. ვილაცეები < *ვილაცაეები, რალაცა — მრ. რალაცეები < *რალაცაეები...).

იზა ჩანტლაძე

(თბილისი. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

პირველადი და მეორეული წარმომავლობის გ ხმოვანი ქართველურ ენათა დიალექტებში

პირველადი წარმომავლობის გ ხმოვანი, ჩვეულებრივ, სვანურ ენაში დასტურდება (**ბგგ**-ი < **ბრგ**-ე „მაგარი, ძღერი“, სადაც ***ბრგ**-ძირი საერთოქართველურის კუთვნილება ჩანს), ხოლო, რაც შეეხება ქართული ენის დიალექტთა უმრავლესობას (ხევსურული, მოხელური, თუშური, ლეჩხუმური, რაჭულის რიგენისთაური მეტყველება, ქვემო-მერულის დასავლური ზოლი, აჭარული, სამცხურ-ჯავახური, ინგილოური) და მეგრულს, აქ **გ**, ძირითადად, მეორეული წარმომავლობისაა — თითქმის ყველა ხმოვნისა თუ **ც** თანხმოვნის (მეგრულში!) რედუცირების შედეგი, მიღებული ძლიერი მახვილის მოქმედების გამო (იგივე ვითარებაა მთის კავკასიურ ენებშიც). ამ შემთხვევაში **გ**, როგორც წესი, თანხმოვანთგამყარია და ანაპტიქსური ფუნქციისა. ამიტომაც მას უნდა მიეცეს იმ ბგერის **ალოფონის** კვალიფიკაცია, რომლისგანაც მომდინარეობს, და არა ფონემისა.

რაც შეეხება სვანურ ენას, აქ **გ** ჩვეულებრივი ხმოვანია და ისევე, როგორც ყველა დანარჩენი, (**ა, ო, უ, ე, ი; ა, ო, უ, ე, ი; ა, ო, უ, ე, ი; ა, ო, უ, ე, ი; ა, ო, უ, ე, ი**) მარცვალს ქმნის. ამიტომაც ის **ფონემაა**. მას მოეპოვება გრძელი (**გ̄**) ვარიანტიც.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ 1986 წელს ალ. ონიანი საგანგებოდ განაზავდა **გ** ხმოვნის ალმინიშნულ ტერმინთა (ირაციონალური, ნახევარხმოვანი, ნეიტრალური) უვარგისობას, ქართველური ენათმეცნიერების კლასიკოსთაგან (ალ. ცაგარელი, ნ. მარი, ი. ყიფშიძე, გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ს. ჟღენტი, გ. როგავა...) დაწყებული დღემდე სპეციალურ ლიტერატურაში დიდი სიჭრელე შეინიშნება. ვფიქრობთ, მეტ სიცხადეს შემოიტანდა თ. გამყრელიძის მიერ ქართველოლოგიაში დანერგული ტერმინი **ანაპტიქსური**, რომელსაც გამოვიყენებდით ყველა ხმოვნის **გ ალოფონის აღსანიშნავად, ხოლო გ ფონემას ვუწოდებდით ხმოვანს, რომელსაც აქვს ორი ალოფონი (არაგრძელი და გრძელი ვარიანტი)**. ეს უკანასკნელი ეხება მხოლოდ სვანურ ენას. მის საილუსტრაციოდ შეიძლება მოგვეყვანა კიდევ ერთი მონაცემი: ქართული ენის

ზოგ დიალექტსა და მეგრულში სხვა ხმოვანთაგან მომდინარე გ ალოფონი შეიძლება დაიკარგოს კიდევ (თუშ. **დამიძახე > დამიძახ** „დამიძახა“, ინგლ. **ჩემო > ჩმო** „ჩამოდი“, **კარზე > კარზ** „კარზე“... მეგრ. **ჩაფელა > ჩაფლა** „ფეხსაცმელი, წულა“), რაც სვანურში შეუძლებელია (მდრ. **ჩაფელ**).

სვანური ენის ლენტეხურ დიალექტში ლექსემათა აუსლაუტში გ იხმარება, ჩაკითხვისას რომელიც ძველ ქართულ ძეგლებში დადასტურებული კითხვითი ნაწილაკისგან (-ა) უნდა მომდინარეობდეს. იგივე ვითარებაა ქართული ენის მოხეურ დიალექტში (ივ. ქავთარაძე). ანალოგიურ სიტუაციაში მთიულურ-გუდამაყრულში გვხვდება -**ე**- (ა. შანიძე, მ. კობაიძე). აქაც და სხვა შემთხვევებშიც ჯავახურსა (გრ. ბერიძე) და ქსნის ხეობის მეტყველებაში (ვ. სომხიშვილი) იგივე ნაწილაკი დასტურდება. მაშასადამე ანაბტიქსური ფუნქციით ქართული ენის დიალექტებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც -**გ**, ისე -**ე**- ელემენტები. მათ შორის განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ პირველი მათგანი თანხმოვანთგასაყარია, ხოლო -**ე**- ხმოვნებს თიშავს ერთმანეთისგან.

მასალის გაცნობამ ისეთი შთაბეჭდილება შეგვიქმნა, რომ ქართული ენის დიალექტებში, იქ, სადაც გვაქვს **გ < ყ** თანხმოვანი, **გ**, ჩვეულებრივ, არ ან ძალზე ფრაგმენტულად გვხვდება. ცალკე აღნიშვნის ღირსია ლაზურის საკითხი, სადაც **გ** ვიწურ-არქაბულ და აქადურ (იშვიათად) მეტყველებაშია დაცული, **გ** კი არსად გვაქვს, განსხვავებით ზუგდიდურ-სამურზაყანოული კილოკავისგან. ძალზე საინტერესოა, რა სიტუაცია გვქონდა ისტორიულად ზანურში? საკითხს სპეციალური შესწავლა სჭირდება დიაქრონიული თვალსაზრისით.

ვფიქრობთ, დიდი მნიშვნელობა აქვს **გ** ხმოვნის გამოყენებას სვანურ ძირებში, რადგანაც ეს მონაცემები (ჯერჯერობით მცირე) ახალ ასპარეზს გადაგვიშლიან კომპარატივისტიკაში. გვეჩვენება, რომ მივაგენით ახალ ფონემათშესატყვისობას: ეს უნდა იყოს საერთოქართველური სონანტი — სვანური **გ**.

მ ა ნ ა ნ ა ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე

(თბილისი. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

ლექსიკური მოტივაციის აქტუალიზებულ მიმართებათა თაობაზე ქველის ახალ რედაქციაში

სალიტერატურო ენის დიდი განმარტებითი ლექსიკონები, როგორც ფაქტოგრაფიული ლექსიკოგრაფიული ბაზა, მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის მოტივაციის თეორიისათვის. ამგვარ ლექსიკონთა მონაცემებზე დაყრდნობით ლექსიკოლოგები სერიოზულ დასკვნებს გვთავაზობენ ეპოქის ნომინაციის მახასიათებლებსა და ტენდენციებზე.

ეპიდემიკურ მიმართებათა სახეები, რომლებიც ერთგვარად არეალიზებენ ლექსიკის ე.წ. მესამე განზომილებას - მოტივირებულობას-, უპირველეს ყოვლისა, კონტექსტურია. ამის საუკეთესო დასტურია სადოკუმენტაციო ფონდი - ილუსტრაციები. კონტექსტის ინფორმაციული შესაძლებლობები ამგვარი შემთხვევებისათვის იმდენად მასშტაბურია, რომ სწორედ მის საფუძველზე განსაზღვრავენ მკვლევარი-ლექსიკოლოგები საერთოდ მოტივაციურ ლექსიკონთა წყაროთმცოდნეობით შესაძლებლობებს. ცხადია, პარადიგმატულ და სინტაგმატურ კავშირთა გვერდით, საკუთრივ ლექსიკოლოგიური თვალსაზრისით, მრავლისმეტყველია ლექსიკის მოტივაციურ კავშირთა კვლევა. ლექსიკოლოგიის მუდმივად მძაფრი ინტერესი ლექსიკოლოგიურ პროცესთა ასახვისა სწორედ რომ სიტყვათა მოტივირებულობას უკავშირდება. მოტივაციის აქტუალიზებული მიმართებები: დემოტივაცია, რემოტივაცია, ნეომოტივაცია, ლექსიკოგრაფიული მიზნის შესაბამისად, აისახება საკუთრივ მოტივაციურ ლექსიკონებსა (სალიტ. ენის, დიალექტთა, ცალკეულ მწერალთა თუ მხატვრულ ნაწარმოებთა და მისთ.) და სალიტერატურო ენის დიდ განმარტებით ლექსიკონებში (მდრ. თეზაურუსი და იდეოგრაფიული ლექსიკონი).

ლექსიკოგრაფიის თეორიის, ისტორიისა და პრაქტიკის თვალსაზრისით საინტერესოა მოტივაციის აქტუალიზებულ მიმართებათა პარამეტრული გაფორმების სპეციფიკა; კერძოდ, თუ რომელი ლექსიკოგრაფიული პარამეტრიც როგორ და რატომ აღწერს ამ მიმართებებს და, შესაბამისად, როგორ კვალიფიცირდება ეს ლექსიკური აღწერები. ამ საკითხებზე მსჯელობა მოხსენებაში აგებულია ქველის ახალი რედაქციის სათანადო მასალებზე დაყრდნობით.

მერაბ ჩუხუა

(თბილისი. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

ქართველურ-ბასკური ბგერათშესატყვისობისათვის (ს.-ქართვ. ხ : ს.-ბასკ. ჰ)

დასახელებულ ენათა გუტურალური რიგის თანხმონებში წინა-მორბედი ლინგვისტების დადგენილ ფონემურ მიმართებებში ფიქსირებულია მხოლოდ

ერთი ოპოზიცია — ს.-ქართვ. ხ : ს.-ბასკ. გ (ქართ. სხალ-ი : ბასკ. Sagar). თანამედროვე კვლევის შედეგები, რომელიც შესიტყვებათა ახალ ნიმუშებს ეყრდნობა, აშკარად მიუთითებენ სხვა ტიპის ბგერათშესატყვისობის გამოყოფის

აუცილებლობაზე, კერძოდ, პროფ. იან ბრაუნის მიერ დადგენილ მიმართებას

(ს.-ქართვ. ხ : ს.-ბასკ. გ) უნდა დაემატოს ს.-ქართვ. ხ : ს.-ბასკ. ჰ, რასაც უცილობელს

ხდის შემდეგი ბასკურ-ქართველური საერთო წარმომავლობის ძირ-ფუძეები:

(1) ს.-ქართვ. *მხარ- „ხვალ, დილა“ (ქართ. სა-მხარ-ი „სადილი, საუზმე“, სვან. მიხარ „ხვალ“) : ბასკ. Biharr „ხვალ“;

(2) ს.-ქართვ. *ხიკ- „წვრილი შეშა, ფიჩხი“ (ქართ. (რაჭ.) ხიკ-ი, ზან. (მეგრ.)

ხინკ-ი „წვრილი შეშა, ფიჩხი“) : ბასკ. Haga „გრძელი ლატანი“, შდრ. დალ., ანდ. ენ. ჰაკუ „ბუჩქი“;

(3) ს.-ქართვ. *ბენ- „უვარგისი ჭაკი ცხენი; დედალი ცხვარი“ (ქართ. ბენ-ი „დაბერებული საქონელი“, ზან. (მეგრ.) ბან-ი „უვარგისი, ძლიერ გამხდარი ცხენი“;

სვან. ბენ „ჯაგლაგი ცხენი“; „დედალი ცხვარი“) : ბასკ. Behi „ძროხა“, შდრ. ნახ., ბაცბ. მაჰხ „დაკოდლი ცხენი“;

(4) ს.-ქართვ. *არხილ- „თოვლის შეყინული ფიფქი“ (ქართ. არხილ-ი// არხილი-ი, ზან. (მეგრ.) ხილა „თოვლის შეყინული ფიფქი“) : ბასკ. Elhur „თოვლი“;

(5) ს.-ქართვ. *ხინ-ხუნ- „გახუნება; დაძაბუნება, დაბერება“ (ქართ. გა-ხუნ-ება, ზან. (ლაზ.) ო-ხინ-უ „ფერის დაკარგვა; ციებისგან გაყვითლება“ მეგრ. რხინ-აფა „დაძაბუნება, დაბერება“ : ბასკ. Hil „კვდომა“...

ნანა ცეცხლაძე

(ბათუმი. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

კალკური და ნახევრადკალკური ფრაზეოლოგიზმები ჩვენებურთა მეტყველებაში

ჩვენებურთა მეტყველებაში ფრაზეოლოგიური ერთეულების სისტემური კვლევა გვიჩვენებს, რომ აქ დაცულია ძირძველი ქართული იდიომები, რომელთაგან ბევრი ძველი ქართული მწერლობის კუთვნილებაა.

ფრაზეოლოგიზმთა ერთი ნაწილი ნახევრადკალკურია, შედარებით ნაკლებია ისეთი შესიტყვებები, რომლებიც თურქულის სიტყვა-სიტყვით თარგმანს წარმოადგენს. ესენია: **სათრის აშენება, რკინის ფერდე, სისხლიდან გარეცხვა, ყისმის გაცივება, ცოდვების შეიდანში გასლა, თვალიდან ჩამოვარდნა, უჟანგო ფაბრიკა, ფითს აძლეგს, ყუსურზე დახედვა, პირის მოძებნა, სინინთის// ეზიეთის გაწევა; სიტყვის დაკავება, სიტყვის წაქცევა, ეზიეთის მიცემა, ხებერი არ აქ, ყაზმალში გარეცხილი, მალლი ჩენგე.**

სათრის აშენება ანგარიშის გაწევა, **კინის ფერდე** — საერთო ენის უქონლობა, ხილჩატეხილობა: **კინის ფერდე ქონდენ ჩამოკიდული ხისიმ** — ახრახას, დოსტების შუაზე.

სისხლიდან გარეცხვა სწორედ ნათესაობის დაკარგვა, დავიწყებაა. **ყაზმალში გარეცხილი** ნამუსგარეცხილია, **პირის მოძებნა** — ადამიანის რალაც საქმეში გამოცდა, შემოწმება; **ცოდვების შეიდანში გასლა** — ცოდვის გამოაშკარავება; **ფითის მიცემა** — წაქეზება, შეგულიანება ცუდი საქმის გასაკეთებლად; **ეზიეთის (არაბ.) მიცემა** - სხვისი შეწუხება; **სინინთის გაწევა** — წვალეობა, ტანჯვა; **მალლი ჩენგე** აქვს იტყვიან ყბედზე.

ჩვენებურთა მეტყველებაში კალკური ფრაზეოლოგიზმები რამდენადმე თავისებურად გამოიყენება.

1. ზოგიერთი მათგანი იშვიათად გვხვდება, რის მიზეზიც განსხვავებული ენობრივი ცნობიერებაა, მაგ. **თვალიდან ჩამოვივარდა** იმერხელსა და აჭარულში **ათვალწუნებას** ნიშნავს, თურქულში ნდობის, პატივისცემის დაკარგვას. ამავე მნიშვნელობით იქ გამოიყენება: **საშლელის გადასმა, დავთრიდან ამოშლა**. ქართულში შეძლების, კავშირის გაწყვეტის სემანტიკა ძირითადად **გულს** უკავშირდება: **გულიდან ამოვივლო, გული აიყარა მასზე**.

2.1. მუჰაჯირი ქართველი კალკურ ფრაზეოლოგიზმს ძალიან ხშირად ქართული ფრაზეოლოგიზმით, ლექსებით ან ფრაზით ხსნის. სინონიმური პარალელიზმის საფუძველზე აგებული წინადადება მეტად ექსპრესიულია. ეს ერთგვარი სტილისტიკური ხერხიცაა და მეტყველებას დამაჯერებლობას სძენს. თავდაპირველად კი მას უცხოური ფრაზების ადგილობრივი ეკვივალენტით განმარტების ფუნქცია უნდა დაკისრებოდა. მაგ.: *მისი ნათქვამი ძირს არ დავარდება, სიტყვა არ წიქტევა; ძემ ვადმეიარა,- ნენეს ხებერი არ აქ...* (აქ უშუალოდ საუბარია მოხუცებულობის შესახებ); *ინსანს აიბი ბუჯზე არ'ნა შამოკრა, სირცხვილიდანანა გამეიყვანო; კაი ინსნები იყვენ, სიხინთი არ გიმიწევია; თურქიეში თურისთობას ძალიან უყურებენ, უჯანგო ფაფრიკა არი, კაი მოგება აქ; ჰუქუმათებმა ახლა შუაში ჰუდული დაასეს, მარა სისხლიდან არ გავრეცხილვართ, ისვენ ხისიმ-ახრაბა ვართ ერთმანები-სა.*

2.2. იშვიათად აღნიშნული ფუნქცია ეკისრება უფრო გავრცელებულ ნახევრადკალკურ ფრაზეოლოგიზმს: *ჯან აძლევისო, ვიტყვიტო,-სულის ეზითშია* (სიკვდილის პირასა).

მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე
(ბათუმი. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ზმნის ზოგი თავისებურება კლარჯულში

კლარჯული ზმნის თავისებურებათაგან ბევრი საერთოა ჭოროხის აუზის სოფლების — კირნათის, მარადიდის, ქედქედისა და აჭარისაღმართის მეტყველების ზმნასთან.

• ობიექტისა და რეალური სუბიექტის (ინვერსიული ზმნების) მრავლობითობა აღინიშნება **-ან, -ენ** სუფიქსებით: *გეჩქარებიან „გეჩქარებატ“, ყავან „ყავატ“, აქვან „აქვატ“*. ასეთ ზმნებში **ჩვენ** ნაცვალსახელის მრავლობითობა აღინიშნება **მ-, მ-ან, მ-ენ** აფიქსებით: *ღარ-ჭებმა მეკინდლებიან, ჩვენ რატონ არ დამასწავლეოთ; თურქებთან ერთათ ვართ, მავიწყდებიან ქართული, შავი თუთა არ მაქვან ჩვენ; ის მეყოფიან ჩვენ.*

ანალოგიით ამავე აფიქსებით არის აღნიშნული ზმნაში **მე** ნაცვალსახელი: *მე პატარა ვიყავ, ნენე მომიკდენ; ვინ მათამაშებდენ, ბაღნობა არ დიმიანხიან; ბაბოა არ მყავან; მუსაფირი გომიხარდებიან; მიაშებიან; ბაბოა ხედრსუზი მყავდენ; კამ ქალია მივარდებიან; ჰელვა მიჩებიან; მე გურჯული არ გემეგნებიან.*

მაქვს ზმნის ფორმებში **-ს** სუფიქსის ნაცვლად არის **-ა**: *მე ქარხანა მაქვა; ცოტაა დავბერდი, ცოტაა ჰქვა არ მაქვა; ვარგნები გვაქვა.*

• მყოფადი გადმოიცემა კავშირებითის ფორმებით: *ვიცოდე, ვუთხარ, ერთი ბალანა გამოვიგზავნო* (=გამოვიგზავნი); *ათი-თხუთმეტი წელიწადს უკან ვურჯული არ დარჩეს* (დარჩება); *ჩაი გასვა* (=გასმევა); *პატინა ყავე, ისინი მოვიტანო* (=მოვიტან) და ჰამე; *მე გითხრა* (=გეტყვი) და დაწერე.

• **ზამ** ფუძეს პირველ სერიაში ენაცვლება **ქმ**: *ბებრები ამდენ ანჯახ იქმენ; აქაც იქმენ*, დაკლიან; *წინ ვიქმოდით; ვიქმოდით* ნალ.

• თავისებურებები დასტურდება თემის ნიშანთა ხმარებაში. ბევრია თემის ნიშანთა მონაცვლეობის შემთხვევა: **-ებლ-ავ**: *ვიგონავ „ვიგონებ“, გავაკეთავ, გავაწითლავ, ავაშენავ, ვაძინავ, ვაბრუნავთ, იტირავს „იტირებს“, ვიტირავს, დაკიდავს „დაკიდეებს“, იმღერავს „იმღერებს“, მაწუხავ „მაწუხებ“*.

-ავლ-ებ: *ვარიგავ „ვარიგებ“, ვაბრუნავთ „ვაბრუნებთ“, ჩაფლებენ „ჩაფლავენ“, გაქვითებენ „გაქვითავენ“, უკრებენ „უკრავენ“, კლებენ „კლავენ“, შექხედებენ „შეხედავენ“*.

-ებლ-ი: *ვისვინი „ვისვენებ“, ისვინილა.*

-ავლ-ი: *დაკლიან „დაკლავენ“*.

-ამლ-ავ: *ვისვავ „ვისვამ“, წევსვავ „წავისვამ“, ვსვავ „ვსვამ“, სვავს; მოვასხავთ „მოვასხამთ“*.

-ილ-ებ: *აწავლებენ „ასწავლიან“. დეიწავლებენ „დაისწავლიან“, გუღუ ზავნებენ „გაუღუ ზავნიან“*.

-ილ-ავ: *გამოგზავნავს „გამოგზავნის“*.

-ებლ-ობ: *ვანთობდი „ვანთებდი“, ედვსობა „ავსება“, ვურთობთ „ვურთავთ“*.

-ობლ-ევ: *გამლაცხვედით „გამოვაცხობდით“*.

-ამლ-ევ: *გამოლუტქმევდენ „გამოლუტქვამდენენ“*.

მარტივფუძიან ზმნებს ემატებათემის ნიშნები: *ვჭამავთ „ვჭამთ“, ჰამებენ „ჰამენ“, წერავს, დაწერავს „დაწერს“, ეგიწერავს „ავიწერს“*;

დევიწერავს, ვატეხავ „გატეხ“; დავტეხავ, ატეხებენ „ატეხენ“; წვეყანავ „წავყევან“, დეიბანავ „დაიბან“, დაბანებენ „დაბანენ“, ვიქავთ „ვიქმთ“.

-ავ თემისნიშნისა ვეიდი ზმნის ფორმები: გავვიდავთ, ვიყიდავთ, ვაყიდავს, ყიდავს, ყიდავენ.

უთემისნიშნა: შევნახდი „შევინახავდი“, შეინახ „შეინახავ“.

-ავ, -ამ თემის ნიშნები შეკუმშულია აწმყოსა და მყოფადის მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებში: მეიპარვენ „მოიპარავენ“, მალვენ „მალავენ“, შეხედვენ, გაბედვენ, დეინახვენ, დეიბურვენ, სმენ „სვამენ“, იზმენ „იზამენ“. მუთუქმენ „მოუთუქვამენ“ აქვეა წერვენ „წერენ“.

-ავ თემის ნიშანს ეცვლება ხმოვანი სავრცობიან მწკრივებში: დავრგვედი, დავთესვედი, გავწურვედი, შევხედვედი, გამოვჩხრიკვედი, ვყიდვედი, ნახვედა, წერვედა, იკითხვედა, მოლესვედენ, მოხნევდენ. მესამე პირში იშვიათია ვიდ წარმოება: დეინახვიდენ.

ფუძედრეკადი ზმნის განმოვანებულ ფუძეს | სერიაში ერთვის თემის ნიშანი: მოკრიფავ, დახრისავ, მოვზილავთ, იჭირავ, უჭრიტავს „უჭვრეტს“.

• წყვეტილის პირველსა და მეორე პირებში -ე სუფიქსიან ზმნებს ემატებათ -ვი. დავაქორწილავი, დავთესვი, მევყანავი, ვიძინევი, დანაყევი, დანაყევი, ეიარევით „აიარეთ“, გავათხუევით „გავათხოვეთ“, ავწიევით „ავწიეთ“ (=ავილეთ), ვქენევით „ვქენით“, დავანგრიევით, დაწერევი, შეხედევით, ალაპარაკევით, მეყვარევით, დევლაპარაკევით.

• ვედ ფუძეს წყვეტილის პირველსა და მეორე პირებში ენაცვლება ველ ხან ნართაული -ი ხმოვნით, ხან ამ ხმოვნის გარეშე: ამოველი, გეველი, ჩეველი, გადაველი, მოველი; წახველი, მოხველით, გახველით; ჩამოველ, შეველ, მოველ, წახველ...

• სხვა ზმნებშიც მონაცვლეობს ინიანი და უინო ფორმები: ვიყავი, ვიყავით, ავდექი, ავდექით; ვიყავ, ავდექ, ვუთხარ...

• დონიან ვნებითს ენაცვლება ენიანი: გვეთხვე „გავთხოვდი“, გეთხვებთან, ეთხოვებთან, მოგწონდა „მოგეწონა“, მოგწონდენ. ხეთქ ფუძე შენარჩუნებულია ვნებითში: რადიატორი ვახეთქდება (=გასკდება), გავაკეთავ.

• -ავ თემისნიშნისანი მოქმედებითი გვარის შესაბამისი ვნებითი ნაწარმოებია არქაული წესით: მოხარშავს — მეიხარშვის, მოკოჭავს (=გასკვნის) — მეიკოჭვის, ჩაშუშავს — ჩეიშუშვის, დეიშუშვის, დათე-

სავს — დეითესვის; ამავე წარმოებისაა დეიბადვის (დაბადავს ფორმის შესაბამისი), დეიბნიდვის „დაიბნიდება“.

• საერთოდ სამხრულ მეტყველებაში პარალელურია ხმოვანთავსართული ა- პრეფიქსიანი და უპრეფიქსო ფორმები. კლარჯულში ჭარბობს უპრეფიქსო წარმოება: მომგონდა, დამბრწყინდა, გამგ ზავნებენ, გამოვგ ზავნენ, დავარგავ ვდრ.: მომავონდა, დამავიწყდა, გამავ ზავნიან, გამოვავ ზავნენ, დავრგავ. . .

• კლარჯული ჭოროხის აუზის ზემოთ დასახლებული სოფლების მეტყველებისაგან განსხვავდება თემის ნიშანთა მრავალფეროვნებით — განსაკუთრებით -ავ თემის ნიშნის გავრცელებით.

კლარჯულში არ ჩანს აწმყოსა და მყოფადის ფორმებში -ევ, რომელიც დამახასიათებელია ქედქედისა და აჭარისალმართის მკვიდრთა მეტყველებისათვის, ჩვენ მიერ მოპოვებული მასალების მიხედვით ამ მოვლენის მაგალითად ჯერჯერობით (კლარჯულის კვლევა გრძელდება) შეიძლება დაგვესახელებინა გავწურე: ხაჭო ვაკეთეფ, მანქანაში გავწურეფ.

ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, საკუთრივ კლარჯულის თავისებურებად ჩანს ორმაგი წარმოება ზმნისა მაქვანან: ლამაზი სოფელი მაქვანან, თქვენ ფული ვაქვანან, ჩვენ ფული არ ვვაქვანან; მინდანან, უნდანან... საერთოა სამხრული მეტყველებისათვის.

მ ა რ ი ა მ ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი

(თელავი. ი. გოგებაშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ლექსიკური შეხვედრები ხევსურულსა და წოვათუშურში

საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა უძველესი მეტყველების ნიმუშებს ინახავს ხევსურული და თუშური. ისტორიულად ხევსურებსა და ვაინახებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. ხევსურეთს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება თუშეთი, ხოლო ჩრდილოეთიდან ჩაჩნეთ-ინგუშეთი. ისტორიული გადმოცემის მიხედვით მთიელთა გაქრისტიანების შემდეგ ხევსურები და ვაინახები საერთო სალოცავში ლოცულობდნენ. ხევსურებისათვის შატლიონი იყვნენ „ორენანი“, რაც დასტურდება ფოლკლორული ჩანაწერების

მიხედვით. მაგ.: პირაქეთელი ქალის ნატირალში ვკითხულობთ: „გადმასხდეს მთასა ორენანიო. მეემზადენით ლიქოკელნიო“ (ხევს. ლექსიკ.). ინტენსიური ურთიერთობის გამო მრავალი ნახური სიტყვა დამკვიდრდა ხევსურულში. მაგალითად:

- ერაწია (ხევს.) „პატარა ქვაბი“; შდრ. ბაცბ. ჰერწჷ „ქვაბი“; „ოცდახუთის ხინკლისაჲ არ გასწირე ბუირიაო, ერბოიან ერაწასა ამუჩინე ძირიაო (ფშ.-ხევს.).

- დოში ხევს. „ტყუილი“; შდრ. ბაცბ. დომ „სიტყვა“; ტყუილ დოშია ქისტებო, ჭეჭით არ მადის ავდარი (ფშ.-ხევს. პოეზ.).
- კალტი ხევს. „ხაჭო“; შდრ. ბაცბ. კალტ; ჩეჩნ. კალდ „ხაჭო“; დაჩვეულია წოყალი ჩხიკვივით კალტის ჭამასა (ხევს. ლექსიკ.).
- კეჭა ხევს. „მატყლის ერთი ბლუჯა“; შდრ. ბაცბ. კეჭ „მატყლი“;

„კალოთანელთ მჩეჩელნი ხყვან, დადგა მატყლის კეკაიო, შუაღამემ მათანა, ვერ გაჩეჩეს კეჭაიო“ (ხევს. თავისებ.).

- აშურა ხევს. „რძისა და ფქვილის შეჭამანდი“ შდრ. ბაცბ. შურ „რძე“;

მიცუს ჭალას ყმაწვილები ხვრეტენ ხალის აშურასა (ხევს. ლექსიკ.).

ხევსურულში გვხვდება სახელები, რომელიც ზოგად ვაინახური წარმოშობისაა. მაგალითად:

- თათური — მამაკაცის სახელია, რომელიც ქართული „თევდორეს“ ეკვივალენტია. ვაინახურში „თოთურ“-ად იქცა და იქიდან მოხვდა ხევსურულში.

- ჩირთ ხევს. ჩირთად შამაყრილი „კონუსისებრი სახურავი“ შდრ. ვაინახ. ჩურთ. „საფლავის კოშკი“ (ხევს. ლექსიკ.);

- კომალა ხევს. „კანაფის მაგარი ძაფი“ შდრ. ვაინახ. კუმალ „კანაფი“ (ხევს. ლექსიკ.);

ზემოთ წარმოდგენილი იდენტობები, რომელიც დალექილია დიალექტის ლექსიკურ ბაზაში, ასახავს ვაინახებისა და დიალექტზე მოუბარი ქართველების მჭიდრო ურთიერთობას. ვფიქრობთ, ამ სახის ლექსიკური შეხვედრები არა მხოლოდ ურთიერთგავლენაზე უნდა მიუთითებდეს, არამედ იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ვაინახები არიან ყოფილი აბორიგენები საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთსა და ლეხურა-იორის მიწა-წყალზე (ივ ჯავახიშვილი).

როინ ქიკაძე

(თელავი. ი. გოგებაშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ენობრივი მენსიერება დიალექტისა (შიგნიკახური)

საყოველთაოდაა აღიარებული დიალექტების განსაკუთრებული როლი ენის შინაგანი პოტენციის გამოვლენაში. ამიტომაც ენიჭება განუზომელი მნიშვნელობა დიალექტებში დაუნჯებული დანაშრეგების წარმოჩენასა და ანალიზს.

დიალექტებში ბუნებრივად აისახება ადამიანის აზროვნების მიმართება სამყაროსეული მოვლენებისადმი, სადაც დაჩნდება ადამიანის დაუკონკრეტებელი, ზოგადი, სივრცული აზროვნების კვალი. ამ მხრივ ფრიად საინტერესო მასალას იძლევა შიგნიკახური: **რასა ვხედამ? სად ხოჭები ყრია, სად უნაგირი, სად ვირის თავი. ვის ამანათი მოუვიდა, ვინან თვითონ მოვიდა.**

ზოგადსამყაროული აზროვნება გამოსჭვივის აგრეთვე საგანთა რიცხვის ექსპრესიულ გამოხატვაში, როდესაც მრავლობითის ფორმით წარმოდგენილი სახელი გაცნობიერებულია მხოლოდითად და პირიქით, მხოლოდითისა — მრავლობითად: **სახლები** რო დავმართე, ახლა დავკორწილდი. ხან **სხვენებში** ავდიოდი, ხან **საბძლებში** ვიმალებოდი. იმ დროს **ნავთები** არ იყო. გარეკეს **თათარი** სამშობლო ქვეყნიდამ. ასეთ შემთხვევაში საგანს სახელი დარქმეული აქვს უშუალოდ მრავლობითის ან მხოლოდითის ფორმით, სადაც გრამატიკული არ თანხვედება სემანტიკურს.

ადამიანის სივრცული აზროვნება განსაკუთრებით ხელშესახებად იკვეთება დროის ფაქტორთან მიმართებაში. შიგნიკახურის ენობრივმა მენსიერებამ ზმნაში შემოინახა ქართული ეროვნული ენის იმ პერიოდის ნიშნები, როცა ენა ცდილობდა ეჩვენებინა არა იმდენად კონკრეტული დრო (აწმყო, ნამყო თუ მყოფადი), არამედ მოქმედების ინტენსივობა: სრულდებოდა ერთგზის თუ მრავალგზის. თავისთავად მრავალგზისობა „ისეთ მოქმედებასაც გადმოგვცემს, რომლებიც ჩვეულებად არის ქცეული“ (ა.შანიძე) და გვიჩვენებს, რომ „მოქმედება ჩვეულებრივ ხდება, მოქმედებას ჩვეულებრივად აქვს ადგილი“ (არნ. ჩიქობავა), რაც ტრადიციულად „ზოგად აწმყოდ“ მიიჩნევა.

შიგნიკახურის დიალექტური მასალის ანალიზი კი გვავარაუდებინებს, რომ მოქმედების **ჩვეულებითობა** შესაძლებელია ზმნამ გამოხა-

ტოს როგორც აწმყო, ასე მყოფადისა და ნამყო დროის ფარგლებში, რის გათვალისწინებითაც დასაშვებად გვესახება შესაბამისი დიფერენცირება: **ჩვეულებითი აწმყო, ჩვეულებითი მყოფადი და ჩვეულებითი ნამყო.**

ჩვეულებითი აწმყო: მემრე გაჩნდა მანქანები და დაგვეხმარა: **გვიხნამენ, გვითესამენ, გვიმკიან;** მანქანებით **ეზიდებიან** პურს.

ჩვეულებითი მყოფადი: გამოარჩევთ სუფთა ხორბალსა, **წავიღებთ** წისქვილში, **დავფქვამთ** იქა; **ჩამოიტანთ** ფქვილს, **გავაკეთებთ** ხაშს.

ჩვეულებითი ნამყო: პირველათ კოლექტივში მანქანები არაფერი არ იყო: **ვმუშაობდით** ხელით, კაცები **ბარამდნენ, თონინდნენ,** საქონლით **ვზნამდით** და მიწეფს **ვამუშავებდით.**

მე ფესხაცმელებს, კაბას კალთაში **ჩავიწყობდი** და **წავიღებდი** სამუშაოზე.

მოქმედების ჩვეულებითობის გადმოსაცემად უმთავრესად გამოიყენება **აწმყოს, მყოფადის, უწყვეტლისა და ხოლმეობითის** მწკრივები.

დროის ფაქტორზე დაკვირვებისას ყურადღებას იქცევს არა მხოლოდ **აბსოლუტური დრო,** არამედ **ფარდობითი დრო;** აკაკი შანიძემ ამ უკანასკნელთან მიმართებაში განიხილა დროის გადაწევისა და დროთა ურთიერთშერევის საკითხი: **მომავალი წარსულში** და **წარსული მომავალში.** გარდა ამისა, შესაძლებელია აგრეთვე **აწმყო წარსულში,** რაც შიგნიკახურში საკმაოდ დიდი ინტენსივობით გამოიყენება და ხელშესახებად იკვეთება პარატაქსულ კონსტრუქციაში **წყვეტილი — აწმყოს** მწკრივთა თანამიმდევრობისას, სადაც წყვეტილით ნაჩვენებია წარსულში შესრულებული მოქმედების შედეგი, ხოლო აწმყოს მწკრივის ახლანდელი დრო გადატანილია წარსულში; ფაქტობრივად გვაქვს **აწმყო წარსულში** ანუ **ნააწმყოარი ნამყო: ჩაიდა** მარჯვენა ხელი მთლად პირში და **ღეჭამს.** ე კაცი **შაშინდა, გაუტია** ძალიანა და **მკის.** **გაიქცა** ეს მელა, **გარბის, გარბის** და **შაასწრო** სოროში. ასეთ შემთხვევაში წყვეტილის დრო შემოსაზღვრულია, აწმყოსი კი — შემოუსაზღვრელი.

ირკვევა, რომ დრო ფაქტობრივად ფარდობითი ცნებაა და ამიტომ ის უნდა განიხილებოდეს როგორც საუბრის მომენტის გათვალისწინებით, ისე კონტექსტსასა და ცალკეულ წინადადებებში ზმნაშემასმენელთა ურთიერთმიმართებისას. სწორედ ასეთი კორელაცია გვაძლევს რელატიური დროის გამოხატვის სრულ სურათს დროის

სემანტიკური ველის ფარგლებში. ამასთანავე, შიგნიკახური დიალექტის მონაცემებითაც კიდევ უფრო სარწმუნო ხდება საენათმეცნიერო ლიტერატურაში დასაბუთებული მოსაზრება, რომლის თანახმადაც დრო არ არის გრამატიკული კატეგორია, იგი ოდენსემანტიკური კატეგორიაა (გ. გოგოლაშვილი). ყოველივე ეს იმაზე მიგვითითებს, რომ „თავი უნდა დავაღწიოთ გრამატიკულ სტანდარტებს და ენის რეალური კანონზომიერებები გავიხადოთ კვლევის ობიექტად“ (ბ. ჯორბენაძე).

ამრიგად, შიგნიკახურ დიალექტში შემონახულია ადამიანის ზოგადი, დაუკონკრეტებელი, სივრცული აზროვნების კვალი, რაც ხელშესახებად იკვეთება დროის ფაქტორთან მიმართებაში და აისახება როგორც საერთო ენობრივი მოვლენა და არა როგორც დიალექტიზმი. სწორედ ამიტომაც სამართლიანად აღიარებული დიალექტების უმნიშვნელოვანესი როლი ენის შინაგანი პოტენციის გამოვლენაში და ამიტომაცაა ესოდენ ფასეული ენობრივი მეხსიერება დიალექტებისა.

ნ ი ნ ე ლ ი ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე

(თბილისი. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი)

გარეკახური ფონეტიკურ-მორფოლოგიური დიალექტიზმები რ. ინანიშვილის პროზაში

რ. ინანიშვილის პროზაში, პერსონაჟების მეტყველების გადმოცემისას, მისი მხატვრული ენისათვის დამახასიათებელი ზომიერებით, როგორც სტილიზაციის საშუალება, გვხვდება შემდეგი გარეკახური ფონეტიკურ-მორფოლოგიური დიალექტიზმები: ა) ბგერათა და მარცვალთა დაკარგვა, მაგ: **სუ, ძაან, შე, რო, მა, მოიცა, გადი, გენა, რავი** და სხვ. ბ) ბგერის განვითარება: **საცოდავობა, ფურტკნის, მჭვალი, მთხლე, მენდალი...** გ) ბგერის დაყრუება: **რათ, ბლომათ, უცბათ...** დ) სუბსტიტუცია: **თხიბნა, მზითები, მიკიოტი, მართული, მურტალი, ღერბი...** ე) სრულწმონობა: **გამზარდელა, ბაზარობა...** ვ) მითითებით **აი** ნაწილაკთან ლიეზონით მიღებული ნაცვალსახელური ფორმები: **აესე, აეგრე...** ზ) ასიმილაცია: **მაცთური, რეები...**

ზემოდასახელებული სხვადასხვა ფონეტიკური ცვლილებებით წარმოდგენილი მაგალითები საკუთრივ მწერლის ენაში რა თქმა უნდა ორთოგრაფიულად მართებული ფორმებით გამოიყენება და შესაბამისად მის მოთხრობებში დასტურდება პარალელური ფორმები: **ბლომად** ხორცი დახორდა (ალერსი შიშიანობის დროს, 1986). ...თევზეულს ჩამოიტან **ბლომათა** (პატარა ბიჭი გოლგოთაზე, 1989). მაგ ბოლში რას **იღრჩობთ** თავს (პატარა ბიჭი გოლგოთაზე, 1989). ცრემლები **ამომანარჩობს** მანამდე (ბარისკენ მოფრინავს ჯაფარა, 1974). სოლომონს **ქვალი** დადგა (შორი თეთრი მწვერვალი, 1976). ჩემი ბიჭის **მკვლელები** დაგადგეთ თქვენაო (სალამო ხანის ჩანაწერები, 1973).

გრამატიკული დიალექტიზმებიდან შესამჩნევია შემდეგი: ა) შეიმჩნევა ქართლ-კახურისათვის დამახასიათებელი ემფატიკური ა-ს ხშირი ხმარება. ცხოვრება მოსდევთ და **იმისთვისა** (ჩიტების გამომზამთრებელი, 1978). **შენა**, ფლახო! თოფის ლულას მხარში წაჰკრავს მიხა ერთს (პატარა ბიჭი გოლგოთაზე, 1989). **ძალღადა** ვარ ქცეული და ძალღადაც არავინ მაგდებს (მთვარის ასული, 1987). ბ) **ჰ\ს** პრეფიქსთა ხმარება ერთპირიან და ორპირიან გარდამავალ ფორმებში: (ყვავები) **დაჰფრენენ**, **დაჰყრანტალებენ**, **დაჰკაპასობენ** თავზე (მთვარის ასული, 1987). მთელ გვარს **ჰკრულავდა** (ალერსი შიშიანობის დროს, 1986). (ლექები) **სთუთქავენ** არაყს (ცისფერი გორგალი, 1962). გ) თემის ნიშნების გამოყენება ფუძედრეკად ზმნებთან: შენ არხეინად იყავი, სუ ფრჩხილებით **დატკვერავს** (პატარა ბიჭი გოლგოთაზე, 1989). ბებია მარიამი დამარმარებული ბაღის ღობის ძირებში **დაჰკრეფავს** ქორფა, ქორფა ჭინჭარს (შორი თეთრი მწვერვალი, 1976). ამ ზმნათა საწყისის წარმოებისას -**ავ** თემის ნიშნისეული **ვ** თანხმოვანი ისევ იჩენს თავს. საკარტოფილე მიწის **ჩიჩქენა** დავიწყე (კეთილი მიწა, 1984). ძვლების **ტეხვამდე** იღლება მანანა (პატარა ბიჭი გოლგოთაზე, 1989). შეიმჩნევა თემის ნიშანთა მონაცვლეობა, **ებობ**: მივუყვები ამ გზას, **მიეფრატუნობ** (პატარა ბიჭი გოლგოთაზე, 1989). **ავ\ამ**: გოგია ძვალრბილიანად **ფქვამს** (მთვარის ასული, 1987). დ) ერთი და იგივე შინაარსის მიმღეობები სხვადასხვა წარმოებით გვხვდება: მივიდა **საკიდთან** (მთვარის სული, 1987). წამოვიდა **საკიდრისაკენ** (პატარა ბიჭი გოლგოთაზე, 1989). მაჭარამვილმა **საკიდლიდან** გრძელი ჩანთა ჩამოხსნა (მეგობრისადმი მინაწერი წერილებიდან, 1958). **ნაჯაყაყაყებს** ძილი გვერევა (ცისფერი გორგალი, 1968). ჩვენმა სამ საათს **ნაჯაყაყარმა** ...ავტობუსმა კილევ ერთ

თი მშრალი ხევი გადაჭრა (ბარისკენ მოფრინავს ჯაფარა, 1974). ჩვენი ბავშვების რვეულები და წიგნები ფანჯრის რაფაზე იყო **აკოკოლავებული** (მთვარის ასული, 1987). მეზობელი უხეიროდ **აკოკოლებული** კაცი იყო (ბარისკენ მოფრინავს ჯაფარა, 1974).

სიტყვა წარმოებისას აღსანიშნავია ა მაწარმოებლის ხშირი გამოყენება: თქვენმა **ყრუნა** ციცარმა ფეხი მოიტეხა მესერზე (შორი თეთრი მწვერვალი, 1976). **სლიკინა** ყური აქვს ბასარას (მთვარის ასული, 1987). ეს დაკუთხული, **დიდცხვირა**, **დიდყურება** კაცი (ალერსი შიშიანობის დროს, 1986).

მ ზ ი ა ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი

(ბათუმი. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

თანდებულთა ხმარების ზოგი თავისებურება მუჰაჯირთა მეტყველების მიხედვით

ქართული ენის სამხრული კილოების შესასწავლად დამატებით მნიშვნელოვანი წყაროა ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველება. კონსერვირებული ნიმუშები საინტერესო ფაქტებს გვაწვდიან ქართული დიალექტოლოგიისა და ენის ისტორიის თვალსაზრისით. მოხსენებაში ყურადღებას გავამახვილებთ თანდებულთა ხმარების თავისებურებებზე.

1. აჭარულსა და მთლიანად სამხრულში **-თვის** თანდებულს ფონეტიკური სახესხვაობა **-თვინ** ენაცვლება, რომელიც დაერთვის ნათესაობითის ფორმას (ჩემთვინ, ზამთრისთინ, სტუმრისთინ). ქობულეთურში გვხვდება -იზა (კაციზა, ქალიზა, იმიზა, ყაბზობიზა, ტკივილიზა), რასაც გურულის გავლენას მიაწერენ.

2. **-თან** თანდებულიანი იშვიათად გვხვდება (ფეხთან, თახთან-შთან). ძირითადად კი უთანდებულო ფორმები გვხვდება: ჩვენსას; აგინისას დარჩებოდა; ბაბუაისას, რაც ასევე გურულს მიეწერება; დასტურდება: კაცის ერთგან; ჭადის ერთად.

3. მუჰაჯირთა მეტყველებაში დასტურდება **-ჩი (-ში)** თანდებულის ხმარების შემთხვევები (სახჩი; კარდალჩი).

4. ქობულეთელ მუჰაჯირთა მეტყველებაში იშვიათად გვხვდება **-დამ** თანდებული (ყანიდამ), რაც გვავარაუდებინებს, რომ ისტორიულად იგი ქობულეთურში იხმარებოდა.

5.- **ვით** თანდებულის ნაცვლად სისტემებრ გვხვდება **-ვეთ//ვენ** (კატასავენ; თოქსავენ, იაილასავენ).

6. **-ში** თანდებულის მიცემითს უთანდებულო ფორმები ენაცვლება (ბაღნობას; ერზრუმს, ისტამბოლს.)

7.-**გან** თანდებულის ნათესაობითის ნაცვლად დასტურდება ამავე თანდებულის მოქმედებითი (მისიდან, ღმერთიდან, იმიდან).